# თავისუფალი საქართველო

მრგვალი მაგიდის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

19 IV 1991

№ 13 (18)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი თუ იქნება პოეტი?..“

ასე მთავრდებოდა ერთ-ერთი ფრანგული ჟურნალის გასული წლის ივნისის ნომერში დაბეჭდილი ვრცელი პუბლიკაცია, რომელიც მთლიანად საქართველოს პრობლემებს მიეძღვნა. მაშინ ყველაზე მხნედ და ოპტიმისტურად განწყობილი ადამიანებიც ძნელად წარმოიდგენდნენ, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მხოლოდ 10 თვე დასჭირდებოდა.

საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას ყავს პრეზიდენტი. მთელ მსოფლიოში პრეზიდენტი არა მხოლოდ მართავს სახელმწიფოს, არამედ წარმოადგენს თავისი ქვეყნის სახეს. საქართველო ბედნიერია, რომ დღეიდან მას ბატონი ზვიად გამსახურდია წარმოადგენს, ეს არის პრეზიდენტი, რომელიც უყვარს, მოსწონს და ეამაყება ქართველ ერს. ვულოცავთ ბატონ ზვიადს და საქართველოს!

10 თვის წინ საქართველოს მომავალი პრეზიდენტი ამბობდა: „ვოცნებობ იმ დროზე, ...როდესაც რუსთაველის გამზირზე ბევრი კაფე იქნება და შესაძლებელი გახდება, მშვიდად იჯდე იქ და ცის ლაჟვარდს უცქირო...“

როდის ახდება ბატონი ზვიადის ოცნება?






## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

### ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ა. ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 14 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორიოდე სიტყვა — ახალგაზრდობას

**1978 წლის 14 აპრილი უმნიშვნელოვანესი თარიღია საქართველოს უახლეს ისტორიაში. ამ დღეს ქართველმა ხალხმა დაიცვა დედაენის კანონიერი უფლებები. გადამწყვეტი სიტყვა აქ ახალგაზრდობამ თქვა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს უფროსი თაობის იმ მამულიშვილთა დამსახურებაც, რომელთა აქტიურმა მოქმედებამ ქართული ენის დასაცავად მნიშვნელოვანწილად შეამზადა და ხელი შეუწყო 14 აპრილის გამარჯვებას. ერთი მათგანი იყო აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა.**

**ვინც ბ-ნ არნოლდს ღირსსახსოვარი 1978 წლის მარტსა თუ აპრილში შეხვედრია (მოწაფე, კოლეგა, ასპირანტი, სტუდენტი...), დამემოწმება, თუ რა უჩვეულოდ აღელვებული იყო იგი. ამ აღელვების მიზეზი ის როდი გახლდათ, რომ მას 26 მარტს 80 წელი შეუსრულდა და საიუბილეო თარიღის აღნიშვნაზე კატეგორიული უარი განაცხადა.... ბ-ნი არნოლდი აღშფოთებას ვერ მალავდა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტის, კერძოდ, 75-ე მუხლის იმ ცვლილების გამო, რომელიც, წინა კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს უგულებელყოფდა. დაბეჯითებით იმეორებდა: ამის დათმობა არ შეიძლება....**

**მარტის ბოლოს ბ-მა არნოლდმა წერილი გაუგზავნა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას, აპრილის დამდეგს — მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს და გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება 75-ე მუხლის წარმოდგენილი პროექტის მიმართ. იმავე დღეებში ეწვია რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელობას და მტკიცე პროტესტი განუცხადა კონსტიტუციაში მოსალოდნელ ცვლილებათა გამო, რაც ქართული ენის უფლებებს ბღალავდა. სათანადო წერილიც დაუტოვა...**

**ამასობაში ბ-ნი არნოლდის მოწაფეებმა „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომლებთან ერთად გაზეთის მთელი გვერდი მოამზადეს, რომელიც მეცნიერის 80 წლისთავს ეძღვნებოდა. 10 აპრილს ბ-მა არნოლდმა გაზეთისათვის დაწერა წერილი, რომელიც 1978 წლის აპრილის იმ მღელვარე დღეებში მოწოდებად გაისმა. წერილი აიწყო შეკვეცილი სახით, მაგრამ დაწერის თარიღის აღნიშვნითა და ავტორის ფაქსიმილით. სამწუხაროდ, წინა ღამეს გაზეთის უკვე მომზადებული ნომრიდან აღნიშნული გვერდი ამოიღეს და მხოლოდ 20 აპრილის ნომერში გახდა შესაძლებელი მასალის დაბეჭდვა.**

**ქვემოთ წერილი ქვეყნდება სრული სახით.**

**ვ. შენგელია**



**ოთხმოცი** წელი... „გზა ყივის წამავალისა!“

გარდაუვალი წესია: ერთი თაობა მიდის, მეორე — მოდის... ხალხი კი უკვდავია. უკვდავია მისი ენაც, თუკი მას ხალხმა ზურგი არ შეაქცია; ენა თაობიდან თაობას გადაეცემა, და მისი წყალობით ეს თაობები ერთ ხალხად ითქმის: ხალხის მეობას მისი ენა გვანიშნებს.

ენის საშუალებით გადაეცემა შემდგომ თაობას, რაც წინა თაობას ცოდნა-გამოცდილება დაუგროვებია. ეს რომ არა, კულტურის განვითარება შეუძლებელი იქნებოდა.

ზოგი ენა ტკბილ-მოსასმენია („მუსიკალურიაო“, იტყვიან): თანხმოვანი და ხმოვანი კარგად არის შეწყობილი. სხვა ენაში ერთად იყრის ორი-სამი (და მეტიც კი) თანხმოვანი.

ერთი ენის ლექსიკა მდიდარია, მეორეს კი სიტყვის მდიდარი ფორმები ახასიათებს და ასე შემდეგ.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ერთი ენა კარგია, მეორე კი — ცუდი?

არა: „ცუდი ენა“ არ არსებობს: ყველა ენა კარგია, ვისთვისაც ეს ენა დედა-ენაა.

ძნელად გამოსათქმელი ბგერები დედა-ენაში არ არსებობს („ძნელად გამოსათქმელი“ — ეს „სხვა ენის“ თვალსაზრისია).

ბუნებრივია ამიტომ, რომ ყოველ ადამიანს უყვარს თავისი ენა, უყვარს დედაენა.

ასევე ბუნებრივია სხვის ენას პატივისცემით ვეკიდებოდეთ: „სხვისი ენა“ აკი ვიღაცისთვის დედა-ენაა.

რა თქმა უნდა, ვისაც თავისი ენა არ უყვარს, სხვისი ენის პატივისცემას ვერ დაიჩემებს, მისთვის ყველა ენა ერთია: ის კოსმოპოლიტია და არა — ინტერნაციონალისტი (ინტერნაციონალიზმი ნაციონალურს კი არ უარყოფს, არამედ გულისხმობს).

ქართულ ენაზე მდიდარი მწერლობა მოგვეპოვება. ეს მწერლობა ჩვენი კულტურის დიდი ძალაა, თუკი მკითხველი და, პირველ რიგში, ახალგაზრდობა მას სათანადოდ მოეკიდება.

ქვეყანას სჭირდება განათებული ახალგაზრდობა, ზერელე ცოდნა, უვიცობა პატრიოტული ვერ იქნება...

დიდი მოვალეობა აწევს, კერძოდ, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს: განავითარონ ის დარგები, სადაც აქამდე ძლიერი სკოლა და სამეცნიერო ტრადიციები არ შექმნილა, ხოლო იქ, სადაც გარკვეული ტრადიციები მოგვეპოვება, წავიდეთ წინ ახალი მიღწევებისაკენ: კარგს უკეთესი უნდა შეემატოს.

ნიჭიერი ახალგაზრდა ჩვენში საძებარი არ არის. ნიჭს დამჯდარი შრომის უნარი უნდა ზურგს უმაგრებდეს. ეს კი ხშირად გვაკლია.

შრომა ყველა დარგს, ყოველ საქმეს ესაჭიროება. მშრომელი ახალგზრდობა ქვეყნის ბურჯია, ხალხის ნათელი მომავლის საფუძველია.

გამარჯვება ვუსურვოთ ჩვენს ახალგაზრდობას შრომაში, სწავლაში, კაიკაცობაში!

სახელიანი ივლიდეთ ცხოვრების გზაზე!

**10. IV. 1978.**

# კოორდინირებული მოქმედებით

**ლიტვისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება მოხდა სხვადასხვაგვარ პოლიტიკურ ვითარებაში. თქვენი აზრით, რაში მდგომარეობს ეს განსხვავება? — ამ კითხვით მივმართეთ საგარეო ურთიერთობათა კომისიის წევრს ბატონ ირაკლი მელაშვილს.**

— პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ლიტვას დამოუკიდებლობის დეკლარაციამდე ჰქონდა გარკვეული სტატუსი; დასავლეთის მთელი რიგი სახელმწიფოებისა არ აღიარებდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს და მათ შორის, რა თქმა უნდა, ლიტვასაც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამდენად, მათი სამართლებრივი საერთაშორისო სტატუსი უფრო მაღალი იყო, ვიდრე საქართველოსი;

ლიტვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი გზა განსხვავებული იყო ჩვენი გზისაგან. საქმე ის გახლავთ, რომ იქ იურიდიულად მრავალპარტიულობა არ იყო ჩამოყალიბებული, როცა არჩევნები ჩატარდა, ხოლო საქართველოში კომუნისტურ რეჟიმთან დიდი ბრძოლის შემდეგ გაიმართა მრავალპარტიული არჩევნები. მეტად მნიშვნელოვანი განსხვავება იყო ის, რომ ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკა ერთიანი ფრონტით გამოდიოდა და მათი მოქმედება საკმაოდ ‚კოორდინირებული' იყო. საქართველოში ეს ვერ მოხერხდა, მიუხედავად მრავალი მცდელობისა ჩვენი მხრიდან. განსხვავებული მომენტია, ალბათ, ისიც, რომ საქართველოს მთავრობამ პირველ სესიაზე გამოაცხადა არა პირდაპირ დამოუკიდებლობა, არამედ გარდამავალი პერიოდი. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. გარდამავალ პერიოდში ხელისუფლება უნდა მომზადებულიყო, გაერკვია ის სიტუაცია, რაც რეალურად არსებობდა საქართველოში. როგორც ცნობილია, 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოვიდა ხალხი, რომელთაც აქამდე არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია სახელმწიფოს მართვის სტრუქტურებთან, არ ჰქონდა საშუალება გარკვეულიყო ქვეყნის ეკონომიკურ ვითარებაში და ნიუანსებამდე ჩაღრმავებოდა ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სიტუაციას. აქედან გამომდინარე, გარდამავალი პერიოდი იყო ის დრო, რომელიც გვჭირდებოდა, რათა შევჩვეოდით, აგვეთვისებნა ის ახალი მომენტები, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში შემოვიდა და გარდა ამისა, ხალხი უნდა შეგვემზადებინა, რომ შემდეგში მომხდარიყო დამოუკიდებლობის დეკლარირება. ერთ-ერთი განმასხვავებელი მომენტი იყო შიდა პოლიტიკური ვითარებაც. როგორც ყველასათვის ნათელია, საქართველოში ავტონომიური ოლქები გახდა ე. წ. ცენტრის ძირითადი დასაყრდენი ძალა, იარაღი, რომლის მეშვეობითაც ცენტრი აწარმოებს ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლას. აქედან გამომდინარე, გარდამავალი პერიოდის გამოცხადება მიზნად ისახავდა, ქვეყნის შიგნით არსებული წმინდა პოლიტიკური პრობლემების მოგვარებას.

ახლა რამ გამოიწვია დამოუკიდებლობის ესოდენ სწრაფი დეკლარირება? ერთ-ერთი მთავარი მომენტი ის არის, რომ რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ ლოგიკური ნაბიჯი იყო სწორედ დამოუკიდებლობის აღდგენა. როცა ხალხმა გამოხატა თავისი ნება, მთავრობა, რომელიც ხალხის მიერაა არჩეული, მოვალეა ერის ნება-სურვილი დააკმაყოფილოს. ლიტვაში ასეთი რამ არ მომხდარა, იქ პირიქით, ჯერ მოხდა დამოუკიდებლობის დეკლარაცია, შემდეგ კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანეს და ამას მოჰყვა რეფერენდუმი. ლიტვაში რეფერენდუმიც სხვა სახით წარიმართა. [illegible] გამოკითხვა, არის თუ არა ლიტვა დამოუკიდებელი რესპუბლიკა. თავისთავად რეფერენდუმს აქვს კანონის ძალა. ჩვენთან ჩატარდა საკონსულტაციო რეფერენდუმი, რომელმაც დაადასტურა საქართველოში მცხოვრები ხალხების სურვილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა. საქართველოს მთავრობამ დამოუკიდებლობის დეკლარირებამდე დაიწყო დემონტაჟი იმ სტრუქტურებისა, რომელიც ამ სამოცდაათი წლის მანძილზე არსებობდა. ამან, რა თქმა უნდა, მტკივნეული მომენტებიც წარმოშვა, რადგანაც ის, რაც ამდენი ხანი არსებობდა, ძალიან ძნელი შესაცვლელი აღმოჩნდა. შემოვიდა პრეფექტის ინსტიტუტი, შეიცვალა ადგილობრივი ხელისუფლების სისტემა, მოხდა დეპარტიზაცია, დეიდეოლოგიზაცია, იყო მცდელობა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების კომიტეტის ორგანოები დამორჩილებოდნენ რესპუბლიკის ხელისუფლებას და ნაწილობრივ მივაღწიეთ კიდეც მიზანს. ლიტვაში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მოხდა კონფრონტაცია, ნებისმიერ სფეროში მათ ცენტრთან უხდებოდათ დაპირისპირება. საქართველოში კი, გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ბევრი მნიშვნელოვანი სფერო რესპუბლიკის მთავრობის დაქვემდებარებაში გადავიდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარდამავალი პერიოდი აუცილებელი იყო იმისათვის, რომ შიდაპოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციები მოგვეგვარებინა. ლიტვაში გაწყდა პოლიტიკური კავშირები, რომელიც არსებობდა ცენტრთან. ამან ძალიან მძაფრი რეაქცია გამოიწვია.

ვფიქრობთ, რომ საქართველოში, უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში, საკმაოდ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა. რა თქმა უნდა, იყო შეცდომებიც, არასწორი ნაბიჯებიც, მაგრამ ძირითადი, სტაბილური გეზი სწორად იქნა აღებული. სწორედ გარდამავალ პერიოდში რომ მოხერხდა ძირითადი ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების დამყარება სხვადასხვა რესპუბლიკებთან, ამან მოგვცა საშუალება გაგვესაზღვრა თუ რა ძალებზე შეიძლება დაყრდნობა, ვინაა მოწინააღმდეგე, ვისთან შეიძლება გქონდეს ნორმალური ურთიერთობა, ვისთან ერთად არის შესაძლებელი იბრძოლო დამოუკიდებლობისათვის და ვინაა შენთან დაპირისპირებული ძალა. ესაა ძირითადი განმასხვავებელი მომენტები ლიტვასთან შედარებით.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ლიტველები პირველები იყვნენ საპარლამენტო გზით ბრძოლის დაწყებისა, მათ თავიანთ თავზე აიღეს პირველობის სიმძიმე და სხვებს აჩვენეს, რომ მიზნის მიღწევა შეიძლება მშვიდობიანი, საპარლამენტო პოლიტიკით, ლიტვა იურიდიულად ასაბუთებს დამოუკიდებლობას და აგრეთვე იურიდიულად ქმნის ორგანოებს, რომლებიც დამოუკიდებელია ცენტრისაგან, მაგრამ პრაქტიკულად ჯერჯერობით ამის განხორციელება ძალიან უჭირს. მთელი რიგი სტრუქტურები ლიტვაში ცენტრთან დაკავშირებული რჩება და ფაქტობრივად მათი ამუშავება შეუძლებელი ხდება.

საქართველოში გარდამავალი პერიოდის დროს სტრუქტურების იურიდიულ სტატუსს იმდენად დიდი ყურადღება არ ექცეოდა. ნომინალურად საწარმოები რჩებოდა საკავშირო დაქვემდებარებაში, მაგრამ რეალურად ის რესპუბლიკის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. ჩვენ ვცადეთ, რომ ფაქტობრივიდან იურიდიულ სტატუსამდე მივვეღწია, ხოლო ლიტვა ცდილობს იურიდიულიდან ფაქტობრივს დაუახლოვდეს. საქართველოში დადგა მომენტი, როცა იურიდიული დამკვიდრება უნდა მომხდარიყო და ამის ლოგიკური შედეგი იყო სწორედ დამოუკიდებლობის გამოცხადება.

ბალტიისპირეთის რესპუბლიკები ატარებენ ძალიან აქტიურ საგარეო პოლიტიკას და უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ საშინაო სიტუაციას. ჩვენ კი ვცდილობთ, საქართველოს ხელისუფლების უზენაესობა გავრცელდეს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, რადგანაც აშკარაა, რომ დასავლეთი აღიარებს ქვეყნებს, რომლის ხელისუფლების სუვერენიტეტი ვრცელდება მთელს რესპუბლიკაში. ამიტომ დღესაც აქეთკენ მივისწრაფით, რეალური, ფაქტობრივი და შემდეგ კი იურიდიული სტრუქტურების შექმნისათვის. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ყველა რესპუბლიკა მიისწრაფის, რომ მსოფლიო სამყარომ აღიაროს მათი დამოუკიდებლობა, მაგრამ ბალტიისპირეთს უფრო გაადვილებული აქვს მოქმედება ამ სფეროში. ისინი ბევრად უფრო წინ არიან პოლიტიკური აზროვნების მხრივ. მათ მომზადებული აქვთ პრივატიზაციის პროექტები, ბევრი სირთულე უკვე დაძლეულია.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ ბრძოლის საერთო გზა გვაქვს, დიდი განსხვავებების აღმოჩენა გაგვიჭირდება, ის რაც განგვასხვავებს, გამომდინარეა ისევ პოლიტიკური სტატუსიდან, გეოპოლიტიკური ვითარებიდან; მიმაჩნია, რომ საბოლოოდ ყველა რესპუბლიკა, რომელიც ცდილობს აღადგინოს ან დაიმკვიდროს დამოუკიდებლობა, შეძლებს კოორდინირებული მოქმედებით მიზნის მიღწევას.

**მოამზადა ირმა კახნიაშვილმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკის პრესა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის შესახებ

## მიმოხილვა მოამზადა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრმა სპეციალურად „თავისუფალი საქართველოსათვის“

**პოლიტიკა** საკმაოდ უმადური საქმიანობაა იმ თვალსაზრისით, რომ პოლიტიკური მოღვაწის მიერ სათუთად დაგროვილი პოპულარობა, მცდარი გადაწყვეტილების შედეგად შეიძლება სულ რამდენიმე დღეში დაიკარგოს. პოლიტიკაში ბირჟის აქციების თავისებური პრინციპი მოქმედებს. თუ რომელიმე ფირმის აქციები დაეცემა, მისი ხელმძღვანელის არაკომპეტენტური და ულირსი საქციელის შედეგად, მაშინ ვერავითარი ძალა ველარ ასწევს მათ კურსს. იგივე მდგომარეობაშია მიხეილ გორბაჩოვი. ბალტიის ქვეყნების იანვრის მოვლენებმა დასავლეთი, უპირველეს ყოვლისა, ამერიკა, გამოაფხიზლა შორს წასული პროგორბაჩოვული იეფორიისაგან.

ამერიკის ნომერ პირველი გაზეთის „ნიუ-იორკ ტაიმს“-ის წამყვანი ჟურნალისტის, ბილი კელერის, ვრცელი სტატიის სათაური ასე ჟღერს: „გორბაჩოვი — ნდობის დასასრული“. შემდეგ მოდის ქვესათაური: „ტოტალიტარული სისტემა აღმოჩნდა უძლური, გზა გაუხსნას დემოკრატიას“ (4 თებერვალი, 1991 წ).

ავტორი გვთავაზობს საბჭოთა კავშირის უახლოესი მომავლის პესიმისტურ და ოპტიმისტურ სცენარს. არ უნდა დავივიწყოთ, წერს იგი, რომ გორბაჩოვი წარმოადგენს კომუნისტური სისტემის პროდუქტს და მას ძნელად უღალატებს; თუ კიდეც მოინდომებს, ამის საშუალებას სათანადო ძალები არც მისცემენ (აქ ავტორი აშკარად არმიას გულისხმობს). ავტორს მოყავს ცნობილი რეაქციონერის, ალქსნისის, სიტყვები, „1917 წელს ჯარისკაცები გაერთიანდნენ ბოლშევიკებთან და დაამხეს დროებითი მთავრობა, ამჟამადაც ასე მოხდება“. აქვე მოყვანილია ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი დეტალი: „ასეთი აქცია დაიწყება ეთნიკური კონფლიქტის საბაბით, რომლის უკან იქნება პოლიტიკური ზრახვები“, ალნიშნავს ხსენებული პოლიტიკოსი.

ეს მეტად საგულისხმო განცხადებაა. ისმის კითხვა, ხომ არ ამზადებენ სამხედროები მომავალი მოქმედების ასეთ პლაცდარმს სამაჩაბლოში.

ავტორის ოპტიმიზმის წყაროა შემდეგი ფაქტორები: უკვე აღარ მოქმედებს სტალინური იდეოლოგიური ბანგი, რომელიც რეპრესიული სისტემის ფუნქციონირებას უწყობდა ხელს; ახალგაზრდობაში ვრცელდება ლიბერალიზმის იდეალები; თვით ყველაზე გონებაშეზღუდულ ფუნქციონერებს ესმით, რომ თანამედროვე პირობებში ეკონომიკური იზოლაცია შეუძლებელია; ადამიანებს ნაკლებად ეშინიათ. ამასთანავე რესპუბლიკები მზად არიან, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, დაიცვან თავისი ინტერესები. ამ ვარიანტის მიხედვით, გორბაჩოვი შეურიგდება დემოკრატებს, შეაჩერებს არმიას და მისცემს რესპუბლიკებს საშუალებას თვითონ გადაწყვიტონ საკუთარი ბედი.

გვინდა შემოგთავაზოთ კიდევ რამდენიმე მასალა, ამერიკის პრესიდან. ხაზს ვუსვამთ იმას, რომ ისინი არაა ტენდენციურად შერჩეული. მართლაც ამერიკის წამყვანი გაზეთები ამჟამად მეტად უარყოფითად აფასებენ გორბაჩოვის პოლიტიკას, მის მიერ არჩეულ არაკონსტრუქციულ, რეაქციულ კურსს.

ამერიკის წამყვანი მიმომხილველი, უილიამ სეფაირი, გორბაჩოვის და მისი პოლიტიკის შეფასებისას მკვეთრად კრიტიკული პათოსით გამოირჩევა. სტატია, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ („ნიუ-იორკ ტაიმსი“, გადმობეჭდილი „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნ“-იდან 18 იანვარს) მისთვის ჩვეულ სტილში არის დაწერილი. სეფაირი დასცინის მათ, ვინც ცდილობს პრეზიდენტი გორბაჩოვი ამერიკის დანაწევრებისა და დაშლის წინააღმდეგ მებრძოლ ლინკოლნს შეადაროს, სეფაირი წერს: „ლინკოლნს ადამიანის თავისუფლების სჯეროდა, გორბაჩოვი კი ცდილობს პოლიტიკური მონობის სისტემის შენარჩუნებას. იანვრის დღეებში ლიტვაში მომხდარი მოვლენები ცივი ომის დამთავრებას და საბჭოთა კავშირში სამოქალაქო ომის დაწყებას ნიშნავს“.

როცა გორბაჩოვს ბალტიისპირეთის ამბების თაობაზე შეეკითხნენ, წერს სეფაირი, მან „რუსი დესპოტებისათვის დამახასიათებელ თვალთმაქცურ სტილში უპასუხა. თურმე ეძინა, როცა ყველაფერი ეს ხდებოდა. თურმე, ნუ იტყვით სროლა პირველმა იარაღის არმქონე ვილნიუსის მოსახლეობამ დაიწყო“. სეფაირი დასძენს, რომ კრემლის დიქტატორისადმი ლოიალური შავი ბერეტები ძლივს იკავებენ თავს იმისაგან, რომ მშვიდობიან მოქალაქეთა სისხლი არ დაღვარონ. „გამოიყენა რა „გლასნოსტი“ თავისი პარტიული კოლეგების თავიდან მოსაშორებლად, გორბაჩოვმა გადაწყვიტა ბალტიის ქვეყნების ურჩობის გატეხვა და მოსთხოვა მორჩილებულ „პრავდას“ — თავისი ფურცლებიდან ამოძირკვოს სიმართლის ყოველნაირი ნიშანსვეტი. დიახ, საბჭოთა კავშირში დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელიც გორბაჩოვმა გამოიწვია“, წერს სეფაირი.

შემდეგ სეფაირი განაგრძობს: „შესაძლოა გავიდეს წლები, სანამ თბილისისა და ვილნიუსის ჯალათები წარდგებიან სასამართლოს წინაშე, ან სანამ იმპერიაში შემავალი ხალხები ჯოხებზე უფრო საშიშ იარაღს აიღებენ ხელში“. რისი გაკეთება შეუძლია ამერიკას? — სვამს კითხვას სეფაირი და დასძენს: „ჩვენ არ ვქადაგებთ სამხედრო ჩარევას, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებს უფრო მეტი შეუძლია, ვიდრე ამას ამჟამად აკეთებს, როცა ინტელიგენტური ფორმით ცდილობს განერიდოს ბოროტების ქვეყნის ახალ იმპერატორს. მაგალითად, ჩვენ არ უნდა ვამბობდეთ, რომ ცივი ომი დამთავრდა, არამედ უნდა ვთქვათ, რომ ეს ომი მაშინ დამთავრდება, როცა მოსკოვის იმპერიის შემადგენლობაში მხოლოდ იქ ყოფნის მოსურნენი დარჩებიან“. შემდეგ ავტორი წერს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირში უნდა გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი, რომელიც შეისწავლის სსრ კავშირისა და ბალტიის ქვეყნების ურთიერთობის პრობლემებს და შემდგომ ამ საკითხს დააყენებს საგარეო საქმეთა მინისტრების დაგეგმილი შეხვედრის დღის წესრიგში. ვილნიუსში დაიწყო ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ხოლო გორბაჩოვი ლინკოლნი არაა, — აკეთებს დასკვნას სეფაირი.

ასეთი შეფასებები დამახასიათებელია აგრეთვე სხვა ავტორებისათვის. მაგალითად: „ნიუ-იორკ ტაიმსში“ (გადმობეჭდილია „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნ“-იდან 22 იანვარს) დაიბეჭდა მაიკლ სკემელის საინტერესო სტატია: „გორბაჩოვი, მესაჯე, რომელსაც გემი აღარ ემორჩილება“ — როგორ შეიძლება შეფასებულ იქნას ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი გორბაჩოვის შესახებ? შეგვიძლია თუ არა ვიფიქროთ მასზე, რომ ის არის აღმოსავლეთ ევროპის დიდი განმათავისუფლებელი, ან პირიქით დემაგოგი, რომელმაც გაგზავნა ტანკები ლატვიასა და ლიტვაში და მოითხოვა ცენზურის შემოღება პრესაზე.

კონსერვატორები გმობენ მას იმისათვის, რომ მან დაიწყო გარდაქმნა. ამასწინათ ერთმა კონსერვატორმა განაცხადა, რომ გორბაჩოვი საუკუნეების მანძილზე იქნება დაწყევლილი, როგორც „პერესტროიკის იმპერატორი“, რომელიც შიშველი აღმოჩნდა. ლიბერალები მას არასდროს აპატიებენ შატალინის ეკონომიკური რეფორმის უარყოფას. ხოლო ბალტიისპირეთში მომხდარი ამბების შემდეგ მან დემოკრატების ნდობა დაჰკარგა. ზოგი გორბაჩოვს ჰამლეტად წარმოიდგენს მერყეობის გამო, სინამდვილეში მან იცის რას აკეთებს. იგი იდეალისტ ადამიანთა იმ მცირე ნაწილის წარმომადგენელია, რომლებსაც კომუნიზმის სჯერათ. გორბაჩოვი ერთგულია ლენინიზმისა და ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა კავშირი მომავალშიც კომუნისტური იქნება, რასაც აპარატი გააკონტროლებს. მისი მიზანია დაუბრუნდეს ლენინის ტიპის ნეპს და არა კაპიტალიზმს. აღმოსავლეთ ქვეყნების გაშვება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გორბაჩოვი დათანხმდება საბჭოთა კავშირის დაშლაზე. ლენინმა შექმნა საბჭოთა კავშირი, და ამიტომ გორბაჩოვი არ დაუშვებს მის დანაწევრებას. მეტად დამანგრეველი ეფექტი ჰქონდა აგრეთვე გორბაჩოვის უუნარობას ეფექტური ეროვნული პოლიტიკის წარმოებაში, აკეთებს დასკვნას ავტორი.

30-იან წლებში ცნობილმა რუსმა ფილოსოფოსმა დაასაბუთა, რომ კომუნისტურ-იმპერიალისტური სახელმწიფოს რეფორმა შეუძლებელი საქმეა. გორბაჩოვის 6 წლის მოღვაწეობამ სავსებით დაამტკიცა ეს გარემოება. ამჟამინდელი მოვლენების ფონზე აშკარაა, რომ დასავლეთში აღარ აქვთ ილუზიები საბჭოთა გარდაქმნის თაობაზე. ამაზე მეტყველებს შპორლუკის სტატია: „გორბაჩოვი ველარ შეძლებს იმპერიის გარდაქმნას („ნიუ-იორკ ტაიმსი“). „...საბჭოთა ინტერვენცია ლიტვასა და ლატვიაში აქარწყლებს იმის იმედს, რომ გორბაჩოვი შეძლებს გარდაქმნას საბჭოთა კავშირი თავისუფალ რესპუბლიკათა თანამეგობრობად. მან აშკარად არჩია იმპერიის გადარჩენა და ამ მიზნის მისაღწევად მიმართავს ბიუროკრატიულ აპარატს, მილიციასა და არმიას. ფაქტობრივად დასრულდა გორბაჩოვისეული რეფორმების ხანა“. შემდეგ ავტორი ისევ ბალტიისპირეთში მომხდარ ამბებს უბრუნდება. „...გორბაჩოვმა გადაწყვიტა გამოეყენებინა ძალა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების წინააღმდეგ, რომლებიც მოქმედებენ ცივილიზებული, კანონიერი მეთოდებით. ბალტიისპირეთი შეუიარაღებელია, იქნებ ამიტომაც გადაწყვიტეს სამხედროებმა აქ ემოქმედათ“, ავტორი დიდ შეცდომას უშვებს, როდესაც გამოთქვამს შემდეგ აზრს: „ბალტიისპირეთი დაუცველია, განსხვავებით აზერბაიჯანისა და საქართველოსგან, სადაც მოსახლეობა რაოდენობრივად მეტია და უკეთ არის შეიარაღებული. სამხედროები ისე თამამად ვერ გაბედავენ ამიერკავკასიის ამ რესპუბლიკების წინააღმდეგ გალაშქრებას“, სამწუხაროდ, ავტორი კარგად არ იცნობს ფაქტებს. პერესტროიკის ეპოქის პირველი რეპრესიული ექსპერიმენტები სამხედროებმა საქართველოსა და აზერბაიჯანზე ჩაატარეს. ბალტიისპირეთის ამბებს იგი ბუდაპეშტ[illegible] და პრაღაში მომხდარ მოვლენებ[illegible] ადარებს. განსხვავებას იგი ხედ[illegible] მხოლოდ იმაში, რომ დემოკრა[illegible] რუსეთმა ელცინის მეთაურ[illegible] ბალტიისპირეთს დაუჭირა მხა[illegible] და ეს ფაქტი მისთვის იმედის მომასწავებელია. შემდეგ ავტორი წერს: „მოვლენების განვითარება დილემის წინაშე აყენებს დასავლეთისა და შეერთებული შტატების პოლიტიკოსებს. მათ სურთ ურთიერთობის გაგრძელება გორბაჩოვთან, რომლის საგარეო პოლიტიკა ძირითადად დასავლეთის ინტერესებს ემსახურება. ამასთანავე ისინი იძულებულნი არიან ალიარონ, რომ გორბაჩოვის მხარდაჭერა და ბალტიისპირეთში რეპრესიებზე თვალის დახუჭვა აფერხებს საბჭოთა რესპუბლიკებში პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას“.

მეტად საგულისხმო სათაური აქვს მაქს ჯეკობსონის სტატიას: „რუსებისათვის ძალის პოლიტიკა გამოსავალი არ არის“ („ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნ“).

სტატიის ავტორი ისტორიული ანალოგიის გამოყენების მეთოდით ადარებს გორბაჩოვსა და სტოლიპინს. გორბაჩოვმა, ისევე როგორც თავის დროს სტოლიპინმა, კარგად უწყის, რომ რუსეთის მიერ ძლიერი სახელმწიფოს სტატუსის შესანარჩუნებლად აუცილებელია ინდუსტრიის მოდერნიზაცია. შექმნილ ვითარებაში ამის პირობა კი დასავლეთის კაპიტალის მოზიდვაა. სწორედ ამიტომ იყო საჭირო რუსეთის ლიბერალიზაცია. სტოლიპინის დროს მოხერხდა რუსეთის ინდუსტრიალიზაცია, დემოკრატიზაციის პროცესს კი მეფის მთავრობის ბიუროკრატიამ შეუშალა ხელი. რაც შეეხება გორბაჩოვს მან ვერ განახორციელა რუსეთის ვერც მოდერნიზაცია და ვერც დემოკრატიზაცია. აღმოჩნდა, რომ იმპერიასთან შეუთავსებელია დემოკრატიული პლურალიზმი და საბაზრო ეკონომიკა. ამჟამად გორბაჩოვის მთავარი მიზანია საბჭოთა კავშირის შენარჩუნება. მას სურს ერთდროულად იყოს სტალინიც და სტოლიპინიც. ამასთან სტატიის ავტორი იმასაც ალნიშნავს, რომ დღეს მთელი რიგი მიზეზების გამო რუსეთს აღარა აქვს ის ხელუხლებელი ბუნებრივი რესურსები, რაც სტოლიპინის და სტალინის დროს ჰქონდა, ამასთანავე მისი მტკიცებით, ხალხიც უკვე არაა მაშინდელივით მორჩილი.

სტატიის ბოლოს ავტორი გვიჩვენებს იმპერიის ნგრევის წინააღმდეგ მიმართული ყოველი ქმედების უპერსპექტივობას. იგი ალნიშნავს: „იმპერიის ნგრევა გარდაუვალია, და თუ რაიმე ძალით დააპირებენ ამ შეუქცევადი პროცესის შეჩერებას, მშვიდობიანი ევოლუციის ნაცვლად მიიღებენ ქაოსსა და ძალადობას“.

განსაკუთრებით გაიზარდა ამერიკის პრესის კრიტიკული ტონი ბუშის მიმართ მას შემდეგ, რაც დაიწყო ერაყის ქურთების ტრაგედია.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ალნიშნავდა: „გაუგებარია, როცა დასავლეთი ქუვეითელებს ეხმარება სამშობლოს გათავისუფლებაში და ამავე დროს პასიურად შესცქერის იმ ფაქტს, რომ მილიონობით ქურთი სამშობლოს კარგავს და უცხოეთში მიემართება“. იმასაც ალნიშნავენ, რომ ბუშს ურჩევნია სადამ დარჩეს და იყოს შედარებით ძლიერი ერთიანი ერაყი, ვიდრე ამ რეგიონში ირანი გაძლიერდეს. ზოგიერთ მიმომხილველს ასეთი პრაგმატიზმი ცინიზმად მიაჩნია. მსგავსი პოზიციებიდან ამერიკის წამყვანი გაზეთები ამჟამად მძლავრად აკრიტიკებენ ბუშს საბჭოთა კავშირის მიმართ მისი პოლიტიკის გამო. ცნობილია, რომ ბუშის პოზიციაა — სანამ გორბაჩოვი სათავეშია, ამერიკა მას დაუჭერს მხარს. წამყვანი ჟურნალისტები მიიჩნევენ, რომ, რადგანაც ბუში ქუვეითის საკითხს მორალური პრინციპით მიუდგა, იგივე უნდა გააკეთოს სხვა ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის მიმართ. და თუ ასეთი კრიტერიუმით მივუდგებით საბჭოთა კავშირს, მაშინ ლოგიკურია, რომ ამერიკის ადმინისტრაციამ მხარი არ უნდა დაუჭიროს გორბაჩოვს. ამ ბოლო დროს ბუშის პოლიტიკა ისევ იქცა კრიტიკის სამიზნედ. როცა ამერიკის გაზეთებმა ამას წინათ გამოაქვეყნა უშიშროების საბჭოს მიერ შედგენილი აქამდე საიდუმლო მემორანდუმი, რომელიც ეხება ამერიკის პოზიციას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ. მასში ალნიშნულია, რომ ამერიკა მხარს დაუჭერს ნებისმიერ სახელმწიფოს, თუნდაც ისეთს, რომლის სათავეში ტირანია, თუკი ეს ემთხვევა ამერიკის ინტერესებს, და პირიქით, არავითარ მხარდაჭერას არ აღმოუჩენს ამ ქვეყნების დემოკრატიულ ძალებს, თუკი ეს ამერიკის ინტერესებს არ მიესადაგება.

ჯორჯ უილმა („ვაშინგტონ პოსტი“, გადმობეჭდილია „ინტერნეიშნლ ჰერალდ ტრიბუნის“ მიერ 3 თებერვალს) მკაცრად გააკრიტიკა ბუში. მან განაცხადა, რომ სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ბუშმა მორალური პრინციპებიდან გამომდინარე გაილაშქრა. მაშ, რატომ უჭერს იგი მხარს გორბაჩოვს, რომელიც სულ უფრო ამკაცრებს თავის დიქტატურას. ავტორს არასწორად მიაჩნია ის, რომ ბუშმა გორბაჩოვთან მოლაპარაკების გადადება სხვადასხვა მიზეზებით დაასაბუთა და არ ახსენა ბალტიის ქვეყნების წინააღმდეგ ჩატარებული აგრესიული აქცია. შემდეგ ავტორი უშუალოდ ეხება საქართველოს, იგი ალნიშნავს, რომ სულაც არ უკვირს ბუშის ასეთი პოზიცია და დასძენს: „ამერიკის პოლიტიკური წრეები არ შეუწუხებია იმას, რომ გორბაჩოვის ჯარებმა დახოცეს თბილისისა და ბაქოს მშვიდობიანი მოსახლეობა“. ავტორი განაგრძობს: „ბუშის ადმინისტრაცია ამჯობინებს დახავსებული ნახოს მთავრობაში, რომელიც იგნორირებას უკეთებს ხალხის ინტერესებს და უეჭველად დამარცხდება. ასეთი უგუნური პოლიტიკით ამერიკამ სადამ ჰუსეინის აღზევებას შეუწყო ხელი და შედეგად სპარსეთის ყურე მიიღო“. საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით, განაგრძობს ავტორი, ამერიკა კვლავ ამგვარ სიძნელეებს შეიქმნის. ამერიკამ უნდა შეიგნოს, რომ საბჭოთა კავშირის სათავეში დგას კომუნისტი, რომელსაც „სურს შეინარჩუნოს სსრ კავშირის სოციალისტური არჩევანი“.

როგორც ხედავთ, საბჭოთა კავშირის საკითხში ამერიკის პრესის პოზიცია გამოკვეთილია. ნაწილი მოითხოვს ქმედით ღონისძიებებს ბალტიისპირეთის უფრო აშკარა მხარდასაჭერად. „ვაშინგტონ პოსტის“ მიმომხილველი ჯიმ კოკლენდი (28. 03. 1991 წ.) ასეთ შემრიგებლურ ფორმულას სთავაზობს: ამერიკას უნდა ჰქონდეს ურთიერთობა, მაგრამ მხარი არ უნდა დაუჭიროს მას. აღსანიშნავია, რომ ითვალისწინებს რა ამერიკის საზოგადოებრიობის განწყობას, ამერიკის მთავრობა და კონგრესი ამჟამად ცდილობს რესპუბლიკებთან კონტაქტების დამყარება-გაფართოებას, მათი ინტერესების შესწავლას. არის იმის იმედები, რომ ამერიკა გამოიჩენს ბევრად უფრო მეტ გულისხმიერებას იმ რესპუბლიკებისადმი, რომლებიც ქუვეითელი ხალხის მსგავსად გახდნენ აგრესიის ობიექტები, მაგრამ მათგან განსხვავებით ვერ ნახეს ქომაგი, რომელიც მათ დახმარების ხელს გაუწვდიდა.

ჯერჯერობით დასავლეთის განწყობილება პრაგმატიზმისკენ იხრება, მაგრამ ამ ფენომენსაც აქვს თავისი საზღვრები. დასავლელ პოლიტიკოსებს უკვე აღარ შერჩათ ილუზიები კრემლის კეთილი ნების თაობაზე.

ამერიკა სხვადასხვა საშუალებებს იყენებს, რათა ზემოქმედება მოახდინოს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობაზე და ხელი აალებინოს მის პოლიტიკური პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ეკონომიკა ჩვენი ხალხის ნიჭმა უნდა გაამართოს

**მიმდინარე** პოლიტიკური ძვრები არნახული სისწრაფით ცვლის ჩვენს ცხოვრებას, აჩქარებს ყველა პროცესს. ეს, ბუნებრივია, ხელისუფლებისაგან სწრაფ რეაგირებასა და ორგანიზებას მოითხოვს. ქვეყანა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ორიენტირებული იყო გარდამავალი პერიოდის ტემპებზე, ახალ რიტმში შედის. დამოუკიდებლობის დეკლარაცია მხოლოდ პოლიტიკურ კურსს არ ცვლის, ეკონომიკაშიც აყენებს ახალ პრობლემებს. უკანასკნელ მოვლენებთან დაკავშირებით რედაქციამ კითხვით მიმართა საქართველოს უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეს ბატონ **გივი თაქთაქიშვილს**, გთავაზობთ მასთან საუბარს.

**კითხვა:** საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ახალ სამართლებრივ ვითარებაში იცვლება თუ არა ეკონომიკური პრინციპები და ურთიერთობები და როგორ?

**ბ-ნი გივი თაქთაქიშვილი:** — ბუნებრივია, დამოუკიდებლობის აქტის მიღების შედეგად იცვლება ჩვენი პოლიტიკა ეკონომიკის დარგში როგორც სტრატეგიულად, ისე ტაქტიკურად. ამ აქტის გამოცხადებას მოჰყვება გარკვეული რეაგირება ე. წ. ცენტრის მხრიდან და იძულებული ვიქნებით, რომ ძალიან მოკლე პერიოდში მოვახერხოთ ჩვენი ეკონომიკის ორიენტაციის შეცვლა. ძირითადი ურთიერთობები ამჟამად გვაქვს რუსეთთან, უკრაინასთან, ყაზახეთთან და სხვა რესპუბლიკებთან. იმაზე, თუ როგორ ირეაგირებენ ეს რესპუბლიკები ჩვენს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტზე, ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ეკონომიკის ფუნქციონირება. შეიძლება, ზოგიერთი რესპუბლიკა პოზიტიურად შეხვდეს ამ აქტს, მაგრამ ე. წ. ცენტრმა ხელი შეუშალოს ჩვენთან ნორმალური ურთიერთობის აწყობაში. ასეთ შემთხვევაში საწარმოების ეკონომიკური კავშირები დაირღვევა და საჭირო გახდება გამოვძებნოთ ნედლეულის ახალი მომწოდებლები და ჩვენი პროდუქციის ახალი მყიდველები.

ბუნებრივია, უნდა მოვახერხოთ ბლოკადის გარღვევა და გასვლა საერთაშორისო ბაზარზე. იცვლება ჩვენი სტრატეგიული ხაზიც. მოგეხსენებათ, ჩვენ გარდამავალი პერიოდი გვქონდა გამოცხადებული. ვფიქრობდით, ამ 2-3 წლის მანძილზე ისე წაგვემართა ჩვენი ეკონომიკა, რომ ცენტრთან და რესპუბლიკებთან შეგვენარჩუნებინა ყველა ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური კავშირი, ხოლო ჩვენთვის უსარგებლო კავშირებს ჩავანაცვლებდით სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობით, ეს მოხდებოდა თანდათან, უმტკივნეულოდ, არსებული ეკონომიკური სტრუქტურების რღვევისა და ახლის შენების კვალად. მაგრამ, რაკი ე. წ. ცენტრის დაწოლა იზრდებოდა და ეს ზეგავლენა აუცილებლად უნდა აღკვეთილიყო, მივიღეთ დამოუკიდებლობის აქტი. ახლა იძულებული ვართ სტრატეგიული გეგმაც შევცვალოთ. პირველ რიგში უნდა დავაჩქაროთ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, თუ ეს პროცესი შენელდა, ჩვენ ჭაობი ჩაგვითრევს და ამ ვითარებიდან გამოსვლა ძალიან გაგვიჭირდება. საჭიროა, რომ ფასები თავისუფალი გახდეს ყოველგვარი გარე რეგულაციისაგან და აუცილებლად დაჩქარდეს პრივატიზაცია. ბუნებრივია, პირველადი მოხმარების პროდუქციაზე გარკვეულ პერიოდში ფასები სტაბილური უნდა იყოს, სახელმწიფოს მიერ მკაცრად დადგენილი, მაგრამ დანარჩენ პროდუქციაზე ფასები თავისუფალი უნდა იყოს. იქაც კი, სადაც ფასები სტაბილური იქნება, მწარმოებელს საბაზრო ფასებით უნდა აუნაზღაურდეს პროდუქციის ღირებულება სახელმწიფოს მიერ, რომ იგი დაინტერესებული იყოს წარმოებაში, მაგრამ ისევ ვიმეორებ, მომხმარებლამდე პირველ პერიოდში პროდუქცია მყარი, სტაბილური ფასით უნდა მივიდეს, რათა სოციალურად დაუცველი ფენები უზრუნველვყოთ გარკვეული გარანტიებით. გარდა ამისა, ჩვენი შიდა ფასები თანდათანობით აუცილებლად უნდა დაუახლოვდეს მსოფლიო ფასებს, რადგან ეს არის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების ერთადერთი გარანტი. თვითონ გორბაჩოვიც და ელცინიც კი, თუ მათი ინტერვიუების მიხედვით ვიმსჯელებთ, მიისწრაფიან, რომ ეკონომიკური ოპერაციები საბჭოთა კავშირის შიგნით წარიმართოს მსოფლიო საბაზრო ფასების გათვალისწინებით. ჩვენც ნელ-ნელა აუცილებლად უნდა მივუახლოვდეთ მსოფლიო საბაზრო ფასებს.

როდესაც ფასების მომატებაზე ვლაპარაკობთ, იმას არ ნიშნავს, რომ ხელფასები იგივე დარჩეს, რაც დღეს არის. ბუნებრივია, ხელფასებიც მოიმატებს. მაგრამ არა ფასების მატების პროპორციულად. ფასები იზრდება პროდუქციაზე და სამუშაო ძალაზეც, რაც აგრეთვე საქონელია, მაგრამ, ცხადია, მხოლოდ შეფარდებით. თუ ერთნაირი დარჩა პროპორცია საქონლის ფასსა და ხელფასს შორის, ეს არავითარ შედეგს არ მოგვცემს. გარკვეული განსხვავება ყოველთვის უნდა არსებობდეს, რომ მწარმოებელი პროდუქციის შექმნით და მისი გაყიდვით იყოს დაინტერესებული.

პირველი დასაძლევი ბარიერი, ალბათ, ის იქნება, რომ როგორმე გავიდეთ საერთაშორისო ბაზარზე. უნდა შემოვუშვათ უცხოეთის კაპიტალი. უცხო კაპიტალის შემოსვლა ნიშნავს იმას, რომ ამ შემთხვევაში დავძლევთ ეკონომიკურ ჩამორჩენილობას და ეს რეალურად მიგვაახლოებს ნორმალურ ეკონომიკურ პროცესებთან.

მიუხედავად რთული პოლიტიკური ვითარებისა, უცხოეთის მრავალი ფირმა დაინტერესებულია ჩვენთან თანამშრომლობით, უნდათ საქართველოში კაპიტალის დაბანდება. უცხოური კაპიტალი აამაღლებს ჩვენი მრეწველობის ტექნიკურ დონეს, რაც ამჟამად ძალიან დაბალია, ძალიან ჩამორჩება თვით საერთო საკავშირო მაჩვენებლებსაც კი. ტექნიკური დონის ამაღლებას ვერ შევძლებთ მხოლოდ ჩვენი სახსრებით. უცხოეთის კაპიტალის შემოსვლა ნიშნავს მოწინავე ტექნოლოგიის შემოსვლას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც ყველაზე მთავარია. ეს ნიშნავს იმას, რომ ვისწავლით დახელოვნებულ მუშაობას და გამოვზრდით კარგ სპეციალისტებს. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ხელფასებიც გაიზრდება და კონტაქტის დამყარებაც გაადვილდება მსოფლიო ბაზართან. შესაძლებლობა მოგვეცემა ვაწარმოოთ პროდუქცია საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე, ისეთი, რომელიც მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი გახდება.

ეკონომიკა ჩაკეტილი არ შეიძლება იყოს. რაც მეტი კავშირები აქვს მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებთან, მით უფრო ძლიერია ცალკეული ქვეყნის ეკონომიკა. ის ფირმები, რომლებიც მოდიან ამ კონტაქტებზე, მიუხედავად დღევანდელი სიძნელეებისა, უნდა წავახალისოთ. ხოლო უცხოური ეკონომიკური დაბანდება აქ უნდა ვარეგულიროთ საგადასახადო პოლიტიკით.

მინდა გესაუბროთ ჩვენი მოგზაურობის შედეგებზე თურქეთში, სადაც გახლდით ბატონებთან ტარიელ გელანტიასთან, დევი ჰერულეიშვილთან და ნოდარ კომახიძესთან ერთად. თურქეთი 70 წლამდე საქართველოს ჩამორჩებოდა ეკონომიკური განვითარების დონით. ხოლო 80-იან წლებში თურქეთმა მნიშვნელოვნად გაუსწრო საქართველოს ეკონომიკური თვალსაზრისით და ახლა იგი მსოფლიოს ათეულს უახლოვდება.

ამ პროცესის დაჩქარებას ხელი შეუწყო: 1. უცხოური კაპიტალის მოზიდვამ, 2. ფასების შეუზღუდველმა თავისუფლებამ, ე. ი. იქ ფასებს მოთხოვნები არეგულირებს და არა მკაცრად დაწესებული სახელმწიფო ნორმატივები, 3. კონკრეტულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც ხელს უწყობს კერძო ინიციატივის განვითარებას, 4. პრივატიზაციამ.

თურქეთში ვერ ნახავთ ვერც ერთ სახელმწიფო მაღაზიას. არის მხოლოდ კერძო მაღაზიები. ასეთ პირობებში მარეგულირებელია მხოლოდ საგადასახადო პოლიტიკა. თურქი მეწარმე, ვაჭარი, გამყიდველი ვერ დამალავს თავის შემოსავალს. თუ დამალავს და საგადასახადო ინსპექციისთვის ეს ცნობილი გახდება, მას იმხელა ჯარიმა ელოდება, რომ ვერასოდეს გაიმართება წელში. ამიტომ მწარმოებელი იძულებულია თავისი, მთლიანი შემოსავლის ზუსტი პროცენტი გადაუხადოს ხელისუფლებას.

ცხადია, თურქეთშიც და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც არის ჩრდილოვანი ეკონომიკა, მაგრამ ეს საერთო ეკონომიკის მხოლოდ ძალიან მცირე პროცენტს შეადგენს, თითქმის მიზერს და მას არ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ეკონომიკის განვითარების მიმართულებასა და ტემპებზე. ჩვენთან კი საწინააღმდეგოდ არის საქმე.

თურქეთის ხელმძღვანელობა ისწრაფვის საქართველოსთან თანამშრომლობისაკენ. ბუნებრივია, მას თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნები ამოძრავებს, ჩვენც გვაქვს ჩვენი ინტერესები ამ ქვეყანასთან და ეს ორმხრივი დაინტერესება საქართველოს სასიკეთოდ უნდა გამოვიყენოთ. ვფიქრობ, ხელშემწყობი პირობები უნდა შევუქმნათ თურქული კაპიტალის შემოსვლას.

თურქეთი შეიძლება დავყოთ სამ ნაწილად განვითარების თვალსაზრისით — ხმელთაშუა ზღვის სანაპირო, შუა თურქეთი და აღმოსავლეთ თურქეთი. დასავლეთ თურქეთი უკვე თითქმის ევროპის დონეზეა განვითარებული, შუა თურქეთი არის საშუალო დონეზე, მაგრამ აღმოსავლეთ თურქეთი მხოლოდ ახლა ილვიძებს. აღმოსავლეთ თურქეთი ისეთივე ჩიხი იყო თურქეთისათვის, როგორც ჩვენთვის სარფის მხარე. ეს მხარე ილვიძებს ჩვენი დოლარებით. ჩვენი ტურისტები სწორედ იქ, აღმოსავლეთ თურქეთში ჩადიან, ხარჯავენ თავიანთ დოლარებს. აშკარად ჩანს, რომ ახლა იწყება გამოღვიძება ამ მხარეში. მშენებლობები უკვე ინტენსიურად მიდის, ახალი მაღაზიები იხსნება და ეს გარკვეულწილად ჩვენი დოლარების წყალობით ხდება. ყოველივე ამის გათვალისწინებით ერთ-ერთი ჩვენი მიზანი ისიც იყო, რომ თურქეთის მხარესთან მოლაპარაკება გვეწარმოებინა, რათა აქ, საქართველოში გაიხსნას თურქული მაღაზიები და ჩვენმა მოქალაქეებმა აქ იყიდონ თავისთვის საჭირო ნაწარმი. ნაცვლად იმისა, რომ იქ ხარჯონ დოლარები.

ბუნებრივია, ყველა განვითარებულ ქვეყანასთან უნდა დავამყაროთ კავშირები, მაგრამ განსაკუთრებულად სასურველია კონტაქტი თურქეთთან, რადგან თურქეთი ჩვენი კარის მეზობელია. საფრანგეთი, ამერიკა მაინც შორს არის ჩვენგან. ცხადია, მათთანაც გვექნება ურთიერთობები, მაგრამ თურქეთის მდებარეობა მეტად მომგებიანია ჩვენს შორის ეკონომიკური ურთიერთობის გაცხოველებისათვის.

თურქეთი ახლახან გამოვიდა იმ ჩამორჩენილობიდან, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით და ალბათ, მისი გამოცდილება ყველაზე მეტად გასათვალისწინებელია ჩვენთვის. თურქეთის საქმიანი წრეები დიდი გაგებით მოეკიდნენ ჩვენს ინტერესს მათი გამოცდილების მიმართ, შევხვდით ეკონომიკის მინისტრს, პრემიერ-მინისტრს.

წამოვიღეთ კანონპროექტები, მასალები იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება და სხვა... ყველაფერი ეს ძალიან დაბეჯითებით უნდა შევისწავლოთ და გამოვიყენოთ ჩვენს საქმიანობაში. არ მიმაჩნია, რომ ზუსტად უნდა გადმოვიღოთ მათი სისტემა, მაგრამ ეს გამოცდილება ჩვენთვის დიდი კაპიტალია.

გარდა იმისა, რომ უნდა ვეცადოთ უცხოეთის კაპიტალის მოზიდვას, მაქსიმალური პირობები უნდა შევქმნათ, ქართული მეწარმეობის განვითარებისათვის. აქ დაგვჭირდება პროტექციონისტური პოლიტიკა. ქართული მეწარმეობის განვითარების საქმეში ამოუწურავი რეზერვები გვაქვს, მაგრამ ჯერჯერობით ეს ყველაფერი იმდენად დაბალ დონეზე დგას, რომ სასურველ შედეგს ვერ ვაღწევთ.

ქართველები უდავოდ ნიჭიერი და ენერგიული ხალხია. მთავარია მათ ისეთი პირობები შევუქმნათ, რომ შესძლონ სრულად გამოავლინონ თავიანთი პოტენცია. ამისთვის გვჭირდება უცხოური კაპიტალი. საბჭოურ სტრუქტურაში გამომგონებელი წინასწარ იღებდა 25 მანეთს გამოგონებაზე, ხოლო გამოგონების წარმოებაში დანერგვის შემთხვევაში, მოგების მხოლოდ მიზერულ თანხას. ცხადია, ეს ვერავითარ სტიმულატორად ვერ იმოქმედებდა. არა და არის ისეთი იდეები, ისეთი პროექტები, ისეთი გამოგონებები, რომელთა რეალიზაცია მსოფლიო ბაზარზე ძალიან დიდ შემოსავალს მოგვიტანს.

ერთ მაგალითს მოვიყვან და ყველაფერი ცხადი გახდება. ცოტა ხნის წინათ ჩვენთან იყო გერმანიის დელეგაცია, ქარის ელექტროსადგურებზე გვქონდა საუბარი. ისინი შევახვედრეთ ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლებს. აღმოჩნდა, რომ ჩვენი თანამემამულეების მოდელის მარგიქმედების კოეფიციენტი სამჯერ მაღალია, ვიდრე გერმანული პროექტისა. ისინი სიხარულით შეხვდნენ იდეას, რომ ერთობლივი საწარმო შეიქმნას და დაიწყოს ამ მოდელის ელექტროსადგურების გაყიდვა.

ჩვენთან საინტერესო იდეებიც არის, გამოგონებებიც და მათ ავტორებს დიდი ხელშეწყობა სჭირდებათ. თუ ჩვენ ეს ვერ შევძელით, მაშინ ტყუილად მოვსულვართ პარლამენტში.

ისევ ვიმეორებ, ჩვენი აუცილებელი ამოცანებია — ეროვნული მეწარმეობის აღორძინება, კაპიტალის შემოსვლა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, პრივატიზაცია, თავისუფალი ფასები... ყველა ეს პროცესი უნდა დავაჩქაროთ. სხვანაირად არაფერი გამოვა და, რაც მთავარია, ბანკი უნდა შევქმნათ, ახალი ტიპის ბანკი. აუცილებელია უცხოური ბანკების, ან ფილიალების შექმნა. ამაზე თურქეთთან უკვე იყო მოლაპარაკება და ჩვენ გვგონია, რომ სულ მალე გავხსნით აქ თურქეთის ბანკს, ან ერთობლივს, ან დამოუკიდებელს. სწორედ ამ ბანკის მეშვეობით მოხდება ურთიერთანგარიშსწორება. ადრე ჩვენ „ვნეშეკონომიკის", არსებობს ასეთი, საკავშირო ბანკი, გზით ვამყარებდით ამ ურთიერთობებს და მისი წყალობით უამრავ წინააღმდეგობას ვხვდებოდით ნებისმიერი პრობლემის გადაჭრისას; მისი ძირითადი ფუნქცია რესპუბლიკების ძარცვა იყო.

ამის შესახებ განვაცხადეთ თურქეთში, ეკონომიკურ სიმპოზიუმზე, რომელიც გაიმართა დევიზით „თურქეთის გამოცდილება, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს". სიმპოზიუმს ესწრებოდნენ, როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის, ისე აღმოსავლეთ ევროპის და განვითარებული ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები და როდესაც ჩვენი დელეგაციის წევრმა დაუფარავად განაცხადა, რომ „ვნეშეკონომიკის" ბანკი ბლოკირებას უკეთებს რესპუბლიკების ნებისმიერ წამოწყებას, მას მხარი დაუჭირეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლებმაც და აღნიშნეს, რომ ხსენებული ბანკი მხოლოდ ბარიერის ფუნქციას ასრულებს ჯანსაღი ეკონომიკური ურთიერთობების გზაზე.

თავის მხრივ თურქეთის მხარემაც აღნიშნა, რომ „ვნეშეკონომიკა" უარყოფით როლს თამაშობს ჩვენი კონტაქტების განვითარებაზე და აუცილებელია ცენტრის გვერდის ავლით პირდაპირი კავშირების დამყარება ცალკეულ რესპუბლიკებთან. ამიტომ თურქეთის მხარესთან იოლად შევთანხმდით, რომ საქართველოში გაიხსნას ერთობლივი ბანკი, რაც გააიოლებს პირდაპირ ანგარიშსწორებას ჩვენს ორ ქვეყანას შორის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელიც თურქეთში ყოფნამ მოგვცა — სანამ მმართველობის რეორგანიზაციაზე ვმუშაობდით, მეგონა რომ ოპტიმალური ვარიანტი შევიმუშავეთ, მაგრამ თურქეთის მაგალითმა გვიჩვენა, რომ ეს სტრუქტურა დასახვეწია. მართლაც, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თვალსაზრისით ქვეყნიდან გასვლას. თურქეთის შიდა სტრუქტურების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მაქსიმალურად გასამარტივებელია მმართველობის აპარატი.

საჭიროა რომ მინისტრთა კაბინეტმა და უზენაესი საბჭოს ეკონომიკასთან დაკავშირებულმა კომისიებმა ერთობლივად შევიმუშავოთ პროექტი, თუ როგორ გავამარტივოთ მმართველობა. რაც უფრო პატარაა აპარატი, მით უფრო ნაკლებია მისი ძალაუფლება, ასეთი სამმართველო აპარატი კი ყოველთვის ესწრაფვის ძალაუფლებას. ეს სწრაფვა უნდა დაითრგუნოს. მაქსიმალური უფლებები უნდა მიეცეს ძირეულ რგოლებს, როგორც ინიციატივის გამოჩენაში, ასევე ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში. ცხადია, სახელმწიფომ გარკვეული სტრატეგია უნდა გაატაროს, მაგრამ ამას ძირითადად მაკოორდინირებელი ფუნქცია უნდა ჰქონდეს და არა ადმინისტრაციული ხასიათი.

სამინისტროების რაოდენობა მინიმუმამდე უნდა დავიდეს, ცხადია, ეს უცბათ ვერ მოხერხდება. უნდა შემცირდეს ცალკეული სამინისტროების თანამშრომელთა რაოდენობაც. 30-60 კაცი სრულიად საკმარისია. სამინისტრო უნდა ატარებდეს ხელშემწყობ პოლიტიკას გარკვეული დარგებისა და თავად მეწარმეების მიმართ. დანარჩენი მის კომპეტენციაში არ უნდა შედიოდეს. იქნება საგადასახადო ინსპექცია და ის შეასრულებს რეგულატორის ფუნქციას. არავინ არ უნდა ერეოდეს საწარმოს საქმიანობაში გარდა საგადასახადო ინსპექციისა.

რაღაც ხანი, რასაკვირველია, ყველა თვალსაზრისით გაგვიჭირდება, მით უმეტეს ახლა, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. უნდა გავუძლოთ ბლოკადას, მაგრამ ამ ბლოკადის პერიოდშიც ნელ-ნელა უნდა დავიწყოთ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი, თორემ მერე, ერთბაშად უფრო გართულდება მდგომარეობა.

ბლოკადის პერიოდში, ბუნებრივია, კონსოლიდაცია აუცილებელია იმიტომ, რომ რესურსების თავმოყრაა საჭირო და სწორად განაწილება. მაგრამ ბლოკადა დიდხანს ვერ გასტანს. რუსეთშიც მძიმე პროცესები მიმდინარეობს, და ჩვენ მომზადებული უნდა შევხვდეთ იმპერიის დაშლის მომენტს, რათა მაქსიმალურად დავაჩქაროთ ჩვენი ეკონომიკური პროცესები. სხვა გამოსავალი ჩვენ არა გვაქვს.

ყველა ამის გათვალისწინებით უზენაესი საბჭო ამზადებს მთელ რიგ კანონპროექტებს. პირველი კითხვით მივიღეთ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლები. მზადდება კანონპროექტი საკუთრების შესახებ, ასევე მზადდება კანონი საწარმოთა და მეწარმეობის შესახებ, კანონი პრივატიზაციის შესახებ. კანონი ბირჟების შესახებ და აქციონერული საზოგადოებების შესახებ ამ დღეებში იქნება მზად, ბანკების შესახებაც მომზადდა კანონი. ფაქტობრივად, უახლოეს მომავალში მზად გვექნება მთელი პაკეტი კანონებისა, რომელიც დააჩქარებს ეკონომიკური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას. ჩვენი დიდი სურვილია, რომ ხსენებული კანონპროექტების განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრიობამ.

ეს არის მთავარი, რისი თქმაც მინდოდა. საკუთარი ძალისხმევით, სხვისი გამოცდილების გათვალისწინებით, სწორი კოორდინაციით, ყველამ ერთად, რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში ფეხზე უნდა დავაყენოთ საქართველოს ეკონომიკა.

[illegible] —

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუბარი განათლების მინისტრთან

## ქალბატონ ლია ანდღულაძესთან



**— სიძნელეებით სავსე ჩვენს ცხოვრებაში საზოგადოება მოთმინებას იჩენს ცარიელი დახლების მიმართ და სრულ შეურიგებლობას ცარიელი აუდიტორიებისა თუ საკლასო ოთახების გამო. რით ახსნით?**

— სკოლა დღეს ჩვენი ცხოვრების ნაკლოვანებათა თვალსაჩინო ანარეკლია; საყვედურები მისი მდგომარეობის გამო იმის მაჩვენებელი, რომ განათლება ჩვენი უმთავრესი სატკივარია.

**— სკოლის რომელ მნიშვნელოვან ნაკლზე მიგვითითებდით?**

— სახელმძღვანელოზე.

**— სწავლების სისტემის სტრუქტურასა და სახელმძღვანელოს რომ დიდი როლი აქვს განათლების პროცესში — ეს უდავოა. იქნებ გვითხრათ, რა გეგმები აქვს განათლების სამინისტროს ამ მიმართულებით?**

— როგორც ბრძანეთ, სახელმძღვანელოსა და სწავლების სისტემის სტრუქტურის როლი განათლების პროცესში საკმაოდ დიდია. კარგი სახელმძღვანელო მნიშვნელოვნად ეხმარება მოსწავლეს ამა თუ იმ საგნისადმი ინტერესის გაღვივებაში, ცნობიერების დონის ამაღლებაში დამოუკიდებელი აზროვნების უნარის გამომუშავებაში და საბოლოო ჯამში, მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

**— არსებული საბჭოური სახელმძღვანელოები თქვენს მიერ ჩამოთვლილ პირობებს აკმაყოფილებს?**

— მოგახსენებთ, რომ არსებული სახელმძღვანელოები არა თუ აკმაყოფილებს ზემოთჩამოთვლილ პირობებს, არამედ ისინი სწავლების არსებულ სისტემასთან ერთად სწორედ საპირისპირო მიზანს ემსახურება, რის ნათელ დადასტურებასაც წარმოადგენს ის, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის უმრავლესობას სწავლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვს.

**— ახლა რა ღონეს მიმართავთ ამ მეტად რთული და ყველასთვის მტკივნეული ვითარების შესაცვლელად?**

— დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად შორიდან დაწყება მომიხდება.

როგორც ცნობილია, სახელმძღვანელოს სახეობა, მისი არქიტექტურა, იქმნება სწავლების სისტემის სტრუქტურიდან და მისი მიზნიდან გამომდინარე. არსებული საბჭოური სწავლების სტრუქტურა დიფერენცირებულია და სახელძღვანელოებიც დაწერილია ამ სტრუქტურის შესაბამისად. სწავლების ეს მოდელი სინამდვილეში წარმოადგენს ძველი, დასავლური მოდელის დამახინჯებულ ვარიანტს. 60-70 წლებისათვის დასავლეთში აღმოაჩინეს, რომ მოსწავლეთა ინტერესმა სწავლისადმი იკლო. ამ პროცესის შესაჩერებლად იმხანად არსებული დიფერენცირებული სახის სახელმძღვანელოების „გათანამედროვეობა" გადაწყვიტეს, რაც იმაში გამოიხატა, რომ ამ სახელმძღვანელოებში, მათი ტიპის შეუცვლელად, შეიტანეს თანამედროვე მეცნიერების მიღწევები. (ცხადია, ელემენტარულ დონეზე). მაგ. ფიზიკის სახელმძღვანელოში შეიტანეს ფარდობითობის თეორიის, ასტროფიზიკის, კვანტური მექანიკის და ა. შ. ელემენტები. ასეთმა მცდელობამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

**— ამ მოდელის სახელმძღვანელოთი თაობებია აღზრდილი როგორც საბჭოთა კავშირში, ისე დასავლეთში, მათ შორის, ბევრი გამოჩენილი პიროვნებაა, ნობელის პრემიის ლაურეატი, ამ მოდელით სწავლებისადმი მოსწავლეთა ინტერესის დაქვეითების მიზეზი მოსწავლეთა „გაზარმაცება", ხომ არ არის?**

— როდესაც კლასში სწავლობს დიდი უმრავლესობა და უმცირესობა არ სწავლობს, მაშინ საქმე გვაქვს სწორედ უმცირესობის სიზარმაცესთან და არა მოდელის უვარგისობასთან, ხოლო როდესაც კლასში ორი მოსწავლე სწავლობს და დანარჩენი არა, მაშინ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწავლების არსებული მოდელი შესაცვლელია, ვინაიდან იგი ვეღარ ასრულებს თავის ფუნქციას, მოძველდა.

**— დავუბრუნდეთ საკითხს, როგორ იქნა შეჩერებული სწავლისადმი ინტერესის კლების პროცესი დასავლეთში?**

— დასავლეთში დიფერენცირებული ტიპის სახელმძღვანელოების „გათანამედროვეობამ" სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, საქმეში ჩართეს ფსიქოლოგიური სამსახური, რომლის კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ უნდა შეცვლილიყო თვით მოსწავლეთა ფსიქოლოგიური მახასიათებლები. გასათვალისწინებელი გახდა, რომ 30-იანი წლებისა და 60-70-იანი წლების მოსწავლეს ერთი და იგივე ვეღარ აკმაყოფილებდა, რადგან 60-70-იანი წლების მოსწავლის ფსიქოლოგიური მახასიათებლები უკვე სხვა იყო. ასე რომ, ამ კვლევის საფუძველზე დასავლეთში შეიქმნა სრულიად ახალი ტიპის სწავლების სისტემა და მისი შესაბამისი სახელმძღვანელოები.

**— ორიოდე სიტყვით ხომ ვერ დაგვიხასიათებდით სწავლების ამ ახალ მოდელს და მის შესაბამის სახელმძღვანელოთა სტრუქტურას?**

— მრავალნაირი მოდელიდან ძირითადი უმრავლესობა ასეთი სქემისაა: სასკოლო სწავლება სამსაფეხურიანია. პირველი, დაწყებითი საფეხური გახლავთ მეხუთე კლასამდე, მეხუთედან მეცხრე კლასის ჩათვლით მეორე საფეხურია. ორივე ეს საფეხური წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას. ამ სკოლაში საგნები ინტეგრირებულია და სახელმძღვანელოებიც შესაბამისად არიან აგებულნი.

**— საინტერესოა, რა თავისებურებებით ხასიათდება ინტეგრირებული სახელმძღვანელო, რით სჯობია იგი ძველს, დიფერენცირებულს?**

— ინტეგრირებული სახელმძღვანელოს თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ იქ ერთიანი თვალთახედვითაა განხილული რამდენიმე მეცნიერება. მაგ. არსებობს ბუნებისმცოდნეობის კურსი, რომელიც იწყება ატომის აგებულებით და შემდეგ გადადის, როგორც არაცოცხალი (გეოლოგია) ისე ცოცხალი ბუნების (ბიოლოგია) შესწავლაზე (ცხადია, ელემენტარულ დონეზე). როდესაც მოსწავლეს აქვს ხატოვანი წარმოდგენა (და არა ფორმალური) ატომებზე, შემდეგ ის უფრო ადვილად იგებს ქიმიისა და ბიოლოგიის საკითხებს. ასეთი ტიპის სახელმძღვანელოებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებანი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ უმცროს კლასელ მოსწავლეებს ინფორმაცია ეძლევათ ნახატი მოდელების სახით და არა ფორმალური ლოგიკური კონსტრუქციების მეშვეობით. შემდეგ, ასაკის მატებასთან ერთად, სახელმძღვანელოში თანდათან შემოდის ფორმალურ-ლოგიკური კონსტრუქციებიც.

**— ჩვენთან იცნობენ ასეთი ტიპის სახელმძღვანელოებს?**

— მასობრივად, ცხადია, არა. ალბათ, საჭირო იქნება უცხო ენაზე არსებული ამ მოდელების გამოფენა-დათვალიერება, რომლის გაცნობის შემდეგ საზოგადოება, მოსწავლე-ახალგაზრდობა და პედაგოგები თავის შთაბეჭდილებებს გაგვაცნობენ.

**— ქ-ნო ლია, თუ სწორად გაგიგეთ, ამ ტიპის სახელმძღვანელო მოსწავლეს აწვდის ხატოვან წარმოდგენას მთლიან, ერთიან სამყაროზე, რაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მიზანს წარმოადგენს. საინტერესოა, როგორი სახე აქვს სწავლების შემდგომ, დამამთავრებელ საფეხურს?**

— სანამ დასმულ შეკითხვაზე გაგცემდეთ პასუხს, მინდა შევავსო თქვენი წარმოდგენა ინტეგრალური ტიპის სახელმძღვანელოსა და საერთოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შესახებ. საწყისი ეტაპის ინტეგრალურ სახელმძღვანელოში სჭარბობს მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდების ე. წ. ხატოვანი მეთოდი, მაგ. ილუსტრაციები, აღწერითი ხასიათის ცნობები სამყაროს შესახებ; აქ სამყარო განიხილება, როგორც ერთი მთლიანობა, არ არის მკვეთრი დიფერენციაცია სხვადასხვა დისციპლინებს შორის (ლაპარაკი მაქვს სამყაროსმცოდნეობაზე). შემდეგ საფეხურზე (V-IX კლ.), როდესაც ზემოხსენებული მეთოდით მოსწავლის მიერ ინფორმაცია ათვისებულია, ინტეგრირებულ სახელმძღვანელოში ლაპარაკია იგივე პრობლემატიკაზე, ოღონდ უფრო ღრმად. ამ დროს მოსწავლეს ნაწილობრივ უკვე ჩამოყალიბებული აქვს აბსტრაქტული ცნებების ათვისების უნარი და მისი დონის შესაბამისად ხდება სახელმძღვანელოში აბსტრაქტული ცნებების შეტანა, ეს ხელს უწყობს მოსწავლის ლოგიკური აზროვნების განვითარებას. ამ ეტაპზე უკვე შეიმჩნევა საგნებს შორის ნაწილობრივი დიფერენციაცია და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დამთავრებისათვის (რომლის სავალდებულო კურსი I-IX კლასებია), მოსწავლემ გარკვეულწილად უკვე იცის, რა მიმართულებით გააგრძელებს თავის განათლებას. ამისთვის შექმნილია პროფილური სამწლედები. სწავლების ამ საფეხურის შესაბამისი სახელმძღვანელოები უკვე მკაცრად დიფერენცირებულია. ასეთ სასწავლებელდამთავრებულს აქვს ზოგადი წარმოდგენა სამყაროზე, სოციოლოგიაზე და ა. შ. და საკმაოდ მაღალი დონის ვიწრო სპეციალური საწყისი განათლება ამა თუ იმ დარგში, მაგ. მათემატიკაში. აღსანიშნავია, რომ ყოველ საგანში არსებობს სხვადასხვა დონის პროგრამა. მაგ. მათემატიკაში ასეთი დონე ხუთია. მათ შორის, მათემატიკა საინჟინრო და ა. შ. ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის. სხვადასხვა დონეების შესაბამისი სახელმძღვანელოები თვისობრივად განსხვავებულია. ასე მაგალითად, მათემატიკა მათემატიკოსისთვის სრულიად სხვა კუთხით არის განხილული, ვიდრე მათემატიკა ჰუმანიტარისთვის. აღსანიშნავია, რომ შეერთებულ შტატებში მათემატიკას მისაღებ გამოცდებზე ჰუმანიტარიც აბარებს (ცხადია, მისთვის შესაფერ დონეზე) ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარებისათვის.

**— რამდენად მიესადაგება ასეთი ტიპის სწავლების წესი და, საერთოდ, ასეთი სახელმძღვანელოები ჩვენს სინამდვილეს?**

— უნდა გითხრათ, რომ ჩვენშიც, დასავლეთის მსგავსად, ჩატარდა ფსიქოლოგიური კვლევა, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ ჩვენს ბავშვებსაც ზემოხსენებული ტიპის სახელმძღვანელოები სჭირდებათ. საერთოდ, როგორც მოგახსენეთ, ამ სახელმძღვანელოების ერთ-ერთი თავისებურება ის გახლავთ, რომ მათი მეშვეობით ადამიანს ეძლევა წარმოდგენა სამყაროზე, როგორც ერთ მთლიანობაზე, ხოლო მაღალ საფეხურზე თანდათანობით ხდება ამ მთელის დანაწევრება. ასეთი სწავლებით წარმოდგენა სამყაროზე, როგორც ერთ მთელზე, ადამიანს სამუდამოდ მიჰყვება მიუხედავად იმისა, თუ რა დარგში იმუშავებს იგი. აღმოჩნდა, რომ ასეთი სწავლება უფრო ბუნებრივია თანამედროვე ადამიანისათვის, ვიდრე სწავლების ძველი წესი.

**— რა ნაბიჯები გადადგა განათლების სამინისტრომ თანამედროვე სახელმძღვანელოების შესაქმნელად?**

— სამინისტრომ გადაახალისა ძველი სამეცნიერო-მეთოდური დარგობრივი საბჭოების მთელი შემადგენლობა, მოიწვია საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მოწინავე ქართველი მეცნიერები, პედაგოგები, მათ შორის პერსპექტიული ახალგაზრდები. ამ საბჭოებს დაევალათ მსოფლიოში არსებული საუკეთესო სახელმძღვანელოების თარგმნა, თანამედროვე ქართული სახელმძღვანელოს შექმნა, სხვადასხვა ავტორთა მიერ დაწერილ სახელმძღვანელოთა ექსპერტიზა და ა. შ.

ჩვენი სახელმძღვანელოები უნიფიცირებული იყო — ერთნაირი ყველასათვის, ჩუქჩის, ყაზახის, რუსის, ქართველისათვის. იქმნებოდა ისინი ცენტრში და ითარგმნებოდა სხვადასხვა ენაზე. ასეთი სახელმძღვანელოები ერთდროულად რთულიც იყო და ბუნდოვანიც და, რაც მთავარია, უინტერესოც. შედეგად მოსწავლის სწავლასთან გაუცხოება მოყვა ასეთ სახელმძღვანელოებს, მაგრამ ხაზი მინდა გავუსვა იმ ფაქტს, რომ მომავალ მუშაობაში ჩართულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერები — ისინი მოჰკიდებენ ხელს საშვილიშვილო საქმეს — მსოფლიო სტანდარტების დონის ქართული სახელმძღვანელოების შექმნას.

რადგან ასეთი სამუშაო ხვალისთვის ვერ მოესწრება, საკითხი გადაწყვეტილია შემდეგნაირად: მომავალი წლისათვის არსებულ სახელმძღვანელოებში შევა ცვლილებები მისი გამარტივება-განტვირთვის მიზნით, პარალელურად ითარგმნება მოწონებული უცხოური სახელმძღვანელოები. ეს პერიოდი კი საკმარისი იქნება ორიგინალურ სახელმძღვანელოებზე გადასასვლელად.

**— ხომ არ იქნება უცხოური სახელმძღვანელოების თარგმნა დაკავშირებული სავალუტო ხარჯებთან, რომელთა გაღება დღეს ასე გვიჭირს?**

— უნდა მოგახსენოთ, რომ აქ პირდაპირ ღმერთმა გვიშველა, საქართველოში არსებობს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობათა განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება, რომელმაც შეერთებულ შტატებთან მიაღწია შეთანხმებას, რომ ამერიკელები ყოველ წელს საჩუქრად, თარგმნის უფლებით, გამოგვიგზავნიან 100-120 ათას წიგნს. ჩამოვლენ სპეციალისტები, დაგვეხმარებიან ბიბლიოთეკების მოწყობაში, რისთვისაც ყოველ წელს გამოგვიყოფენ 25 ათას დოლარს (ეს თანხა შემდგომში გაიზრდება). ეს ყოველივე ჩვენი მხრიდან ყოველგვარი ვალუტის გადახდის გარეშე განხორციელდება.

**— მართლაც დიდი საჩუქარია ეს ქ-ნო ლია. როდის არის სავარაუდო სახელმძღვანელოთა პირველი პარტიის მიღება?**

— პირველი პარტია უკვე შეფუთული დევს პიტსბურგსა და ვაშინგტონში. ასე რომ, ახლა უკვე საქმე ჩვენზეა, უნდა გამოინახოს შენობა ამ წიგნების მოსათავსებლად, უნდა იმუშაონ სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭოებმა მათ გადასარჩევად და სათარგმნელად.

**— ზემოთ თქვენ ახსენეთ, რომ უნდა შეიქმნას თანამედროვე ქართული სახელმძღვანელო, იქნებ ორიოდ სიტყვით ამ საკითხზე გვესაუბროთ.**

— სიამოვნებით, თანამედროვე ქართული სახელმძღვანელოს შექმნა, რომელიც მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების ზოგად სტანდარტებს დააკმაყოფილებს, მეტად რთული და საპატიო საქმეა. ამ ძიზნით ჩვენთან იქმნება სახელმძღვანელოების კვლევის ცენტრი, რომელიც დაუკავშირდება გეორგ ეკერტის სახელობის ასეთივე საერთაშორისო ცენტრს გერმანიაში. აღსანიშნავია, რომ ასეთი ცენტრები მსოფლიოს ყოველ ცივილიზებულ ქვეყანაში არსებობს. სწორედ ამ ცენტრში მოწინავე მეცნიერების, პედაგოგების, მეთოდისტებისა და ფსიქოლოგების ერთიანი შრომით უნდა იქნას აგებული თანამედროვე ქართული სახელმძღვანელო.

**— სანამ შეიქმნება თანამედროვე ქართული და ითარგმნება საუკეთესო საზღვარგარეთული სახელმძღვანელოები, მოსწავლეებმა ისევ ძველი წიგნებით უნდა ისწავლონ?**

— როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩვენთან უკვე ფუნქციონირებენ განახლებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოები, მათი ერთ-ერთი ამოცანაა არსებული სახელმძღვანელოების ზედმეტი მასალისაგან განტვირთვა. ასე რომ, სანამ გვექნება საუკეთესო ქართული და დასავლური სახელმძღვანელოები, სამწუხაროდ, იძულებული ვართ ვისარგებლოთ არსებული, მაგრამ უკვე განტვირთული სახელმძღვანელოებით. ისინი პირველი სექტემბრისათვის მზად იქნება.

**— ამ საკითხების გადაჭრისას ბევრი პრობლემა წარმოიშვება?**

— პრობლემები ბევრია, მათ შორის, ქაღალდის ნაკლებობა და სხვ., მაგრამ მათ არ უნდა შევუშინდეთ, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს გასაკეთებელ საქმეს სხვა არავინ გააკეთებს. ამაში ვხედავთ ჩვენს ვალს ერის, შთამომავლობის წინაშე და ღმერთიც გვაძლევს ძალას სიძნელეთა გადასალახავად.

დიდად მაიმედებს ის ფაქტი, რომ განათლების სამინისტროში მოსულ ახალ ძალთაგან — ერთი თავისი ბუნებით, ზნეობითა და გონებით ნამდვილ ქართველ ინტელიგენტს — დავით ასათიანს ვანდეთ ჩვენი სკოლის სახელმძღვანელოების ბედი. იგი პროფესიით ფიზიკოსია და გაწეულ სამუშაოზე მომავალში თავად მოგახსენებთ.

**— გისურვებთ თქვენ და მიხარია, რომ როგორც იქნა განათლების სამინისტრომაც გამოიღვიძა და იმედი მომეცა, რომ თქვენს მიერ ჩაყრილი თესლი კარგ ნაყოფს გამოიღებს. დასასრულ, ნება მიბოძეთ, მადლობა მოგახსენოთ ინტერვიუსათვის და გისურვოთ გამარჯვება იმ დიდი და კეთილშობილური ვალის მოხდაში, რომელიც დაგეკისრათ ერის და შთამომავლობის წინაშე.**

— დიდი მადლობა.

# პრობლემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, გეოლოგია-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, ვლადიმერ გუგუშვილმა, რომელიც გარდა იმისა, რომ ცნობილი გეოლოგია, ჩემი მეგობარიც გახლავთ, ამას წინათ თავისი ამერიკელი კოლეგისაგან მიიღო მოკითხვის ბარათი, რომელშიც კოლეგა მას, სხვათა შორის, ეკითხებოდა, რა ხდებაო საქართველოში. პასუხის დაწერა ვ. გუგუშვილმა მთხოვა მე, როგორც ისტორიკოსს. თხოვნა მეგობარს, ცხადია, შევუსრულე და წერილიც გაიგზავნა, მაგრამ თავს ვალდებულად ვთვლი ქართველ მკითხველსაც გავაგებინო, თუ რა ინფორმაცია მივაწოდე ჩვენს ამერიკელ გულშემატკივარს. ამიტომაც გთავაზობთ წერილის ქართულ დედანს.**

**იულონ გაგოშიძე**

**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, ბატონ იულონ გაგოშიძის წერილი, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება ქართველი მკითხველისთვისაც, რადგან სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად ჩვენ ისტორიაც წართმეული გვქონდა.**

# ჩვენი ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის, და არა მხოლოდ მკითხველთათვის

1. საქართველოს რესპუბლიკა დღევანდელ საზღვრებში მოიცავს 69500 კვ. კმ-ს, მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 5 500 000, რომელთაგანაც 70% ქართველია.

საქართველოს რესპუბლიკის გარეთ ქართველები კომპაქტურად ცხოვრობენ თავის ისტორიულ ტერიტორიაზე დღევანდელ აზერბაიჯანში და ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, სადაც ქართული მოსახლეობა სხვადასხვა მონაცემებით 2-5 მილიონს აღწევს.

ქართველთა ძირითადი რელიგიაა მართლმადიდებლური ქრისტიანობა, რომელიც აქ დამკვიდრდა მოციქულთა დროიდან, ხოლო სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა 337 წელს.

თურქ-ოსმალური ექსპანსიის შედეგად XVII-XIX საუკუნეებში ქართველთა ნაწილი, უპირატესად სამხრეთ საქართველოში, გამაჰმადიანდა. მაჰმადიანი ქართველები ცხოვრობენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (აჭარაში) და ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში.

2. საქართველო უძველესი სახელმწიფოებრიობის ქვეყანაა. ქართველურ ტომთა პირველი სახელმწიფოები შეიქმნა ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულში და მოიხსენიებიან ასურულ და ურარტულ წარწერებში (ტაოხი, კულხა), ბიბლიაში (თუბალი), ძველ ბერძნულ წყაროებში (კოლხიდა).

ძვ. წ. IV ს-ის დასასრულს შექმნილმა ქართლის სამეფომ (ანტიკური წყაროების იბერიამ) უწყვეტად იარსება XIX საუკუნემდე, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა. ამასთან, ბოლო 1000 წლის განმავლობაში საქართველოში მეფობდა ერთი დინასტია — ბაგრატიონები, რომელთა შთამომავლები დღეს ემიგრაციაში იმყოფებიან საფრანგეთსა და ესპანეთში.

3. საუკუნეების განმავლობაში საქართველოს სამეფო იყო ქრისტიანობისა და ევროპული ცივილიზაციის ერთადერთი საყრდენი და ფორპოსტი ახლო აღმოსავლეთში. საქართველომ გაუძლო არაბების, მონღოლების, სპარსელების, თურქების მოძალებას და ბოლომდე შეინარჩუნა ეროვნული თვითმყობადობა და დამოუკიდებლობა.

1783 წელს ირან-ოსმალეთის შემოტევისაგან თავის დასაცავად ქართველთა მეფემ ერეკლე II პროტექტორატის შესახებ ხელშეკრულება დადო რუსეთის იმპერატორთან, ეკატერინე II-სთან. ამ, ე. წ. გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით საქართველოს სამეფო ინარჩუნებდა სრულ სუვერენიტეტს, თუმცაღა აღიარებდა რუსეთის იმპერატორის უზენაესობას და რუსეთის მტერს საკუთარ მტრად მიიჩნევდა.

4. 1801 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I ცალმხრივ დარღვია ხელშეკრულება — დააპატიმრა და თბილისიდან რუსეთში გაასახლა მეფის ოჯახი, საქართველო კი აქცია რუსეთის კოლონიად. ისტორიული საქართველოს მთელი ტერიტორიის რუსეთთან შეერთებას 75 წელი დასჭირდა და დასრულდა 1876 წელს. ყოფილი საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიქმნა რუსეთის იმპერიის ორი გუბერნია (თბილისის და ქუთაისის) და ერთი ოლქი (ყარსის).

5. ქართველი ერი არ შერიგებია მონობას და მთელი XIX საუკუნის განმავლობაში არ შეწყვეტილა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ პოლონეთის, ფინეთის და ლიტვა-ლატვია-ესტონეთის მსგავსად საქართველოსაც გაუხსნა გზა დამოუკიდებლობისაკენ, გამოცხადდა **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა**, ჩატარდა საქართველოს პარლამენტის საყოველთაო, მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები, შეიქმნა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუცია. მიუხედავად საგარეო-პოლიტიკური სირთულეებისა, რასაც იწვევდა სამოქალაქო ომის ალში გახვეული საბჭოთა რუსეთის მეზობლობა, საქართველო დაადგა თავისუფალი, დემოკრატიული განვითარების გზას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა de facto და de jure აღიარა ერთა ლიგამ და დასავლეთის მთელმა რიგმა ქვეყნებმა. აღიარა იგი რუსეთმაც: 1920 წლის 7 მაისს საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელსაც რუსეთის მხრიდან ხელს აწერს ლენინი. მაგრამ ეს ხელშეკრულება რუსეთის, ამჯერად უკვე საბჭოთა იმპერიის მორიგი თვალთმაქცობა გამოდგა.

6. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შედეგად რუსეთში გაბატონებულმა ბოლშევიკებმა რამდენჯერმე სცადეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტის ხელყოფა. ჯერ კიდევ 1918 წლის მარტში ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში ფარულად შემოგზავნეს ბოლშევიკთა საგანგებო რაზმები და აქ მოხდა ოსთა ანტიქართული აჯანყების ინსპირაცია. აჯანყების ჩახშობასა და ბოლშევიკთა განდევნაში ქართველთა გვერდით აქტიურად მონაწილეობდენ საქართველოში მოსახლე ოსებიც.

იმავე 1918 წლის გაზაფხულზე ანალოგიური ამბოხება მოეწყო სოხუმში, სადაც რუსულ საჯარისო შენაერთებზე დაყრდნობით აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკაც კი გამოცხადდა, რომელმაც სულ 40 დღეს იარსება (1918 წლის 6 აპრილი-17 მაისი). ბოლშევიკები აქედანაც განდევნეს ქართველებმა და აფხაზებმა.

1920 წლის გაზაფხულზე საქართველოს კიდევ ერთხელ შემოუტია რუსეთმა, ამჯერად რეგულარული ჯარით იმ დროისათვის უკვე გასაბჭოებული აზერბაიჯანიდან, მაგრამ ბოლშევიკები კვლავ დამარცხდნენ.

აზერბაიჯანის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება იმავე 1920 წელს სამხედრო ძალით დამყარდა სომხეთშიც. საქართველო ალყაში მოექცა: მისი ბედი გადაწყვეტილი იყო, მით უმეტეს, რომ თურქეთშიც გაიმარჯვა პრორუსულად განწყობილმა ქემალისტურმა რევოლუციამ, ევროპა და ამერიკა კი გულგრილნი იყვნენ საქართველოს ბედისადმი.

7. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს საზღვრებში საბჭოთა სომხეთიდან შემოიჭრა რუსეთის XI არმია. იმავე დღეს ბოლშევიკების IX არმია შემოვიდა აფხაზეთშიც, ხოლო სამხრეთიდან საქართველოს შემოუტია თურქეთმა, რომელთანაც ლენინს საიდუმლო ხელშეკრულება ჰქონდა საქართველოს წინააღმდეგ დადებული.

ქართული ჯარი დამარცხდა. საქართველოს კანონიერმა მთავრობამ დროებით შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება და წავიდა ემიგრაციაში (საფრანგეთში).

საქართველო ოკუპირებულ იქნა ბოლშევიკური რუსეთის მიერ. დამყარდა ბოლშევიკური დიქტატურა.

8. გამარჯვებულმა რუსმა ბოლშევიკებმა საქართველოს ხარჯზე დააჯილდოვეს ყველა, ვინც მათ ეხმარებოდა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში: საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი პროვინცია, აღმოსავლეთი კახეთი, ანუ საინგილო გადასცეს აზერბაიჯანს, ქვემო ქართლის სამი ადმინისტრაციული რაიონი (ისტორიული ლორე) გადასცეს სომხეთს, სამხრეთ დასავლეთი საქართველო (რუსეთის იმპერიისდროინდელი ყარსის ოლქი მთლიანად და ქუთაისის გუბერნიის ნაწილი) გადასცეს თურქეთს. საქართველოს ცენტრალურ ნაწილში შექმნეს ოსების სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი — ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (აღსანიშნავია, რომ ამ ოლქის ცენტრში, ქალაქ ცხინვალში, მაშინ სულ ორიოდე ოსური ოჯახი ცხოვრობდა);

გარდა ამისა, საქართველოში შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. შეიქმნა აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაც, რაც ნონსენსია: ქართველისაგან განსხვავებული რაიმე აჭარული ეროვნება არ არსებობს, აჭარელი ისეთივე ქართველია, როგორც საქართველოს ნებისმიერი სხვა კუთხის მცხოვრები.

ასე დააქუცმაცეს საქართველო და თანაც ავტონომიური წარმონაქმნების სახით ჩაალაგეს შეყოვნებული მოქმედების ნაღმები, მოსალოდნელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. ამისი კი ტყუილად არ ეშინოდა კომუნისტური რუსეთის იმპერიას: ქართველი ერი ვერ შეეგუა დამონებას. ქართველებს სახელმწიფოებრიობის ძველი და მყარი ტრადიცია აქვთ და დამოუკიდებლობის დაკარგვას ვერ ეგუებიან.

9. კომუნისტურმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა სისხლიანი კვალი გაავლო საქართველოს ისტორიას: 1922-24 წლებში ფაქტობრივად მთლიანად ამოწყვიტეს ქართველი არისტოკრატია, რომელიც მოსახლეობის 6% შეადგენდა (ოფიციალური ცნობა); 1937 წელს დასრულდა ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის (მათ შორის ახალი თაობისაც) ფიზიკური და მორალური განადგურება. 1929 და მომდევნო წლებში უმძიმესი დარტყმა მიაყენეს ქართველ გლეხობას.

1941-45 წლების ომში დაიღუპა საქართველოს 380 000 მცხოვრები, 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან რამდენიმე ათეული ათასი გამაჰმადიანებული ქართველი გადაასახლეს შუა აზიაში, სადაც მათ სრული დენაციონალიზაცია განიცადეს: დაკარგეს ქართული ენა და თვითშეგნება. 1949 წელს ასობით ქართული ოჯახი გაასახლეს ყაზახეთში (სტალინის სიკვდილის შემდეგ მათი უმეტესობა უკან დაბრუნდა). 1956 წელს დახვრიტეს დემონსტრაცია თბილისში (დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა უცნობია). 1989 წლის 9 აპრილს მოხდა მშვიდობიანი დემონსტრაციის სისხლიანი დარბევა თბილისში.

70-წლიანი რეპრესიების შედეგად საქართველომ დაკარგა საერთო ჯამში მილიონამდე კაცი.

10.0 რეპრესიების პარალელურად ცენტრი ახორციელებდა ერთა შორის სიძულვილის გაღვივების პოლიტიკას: divide et impera — დაყავი და იბატონე — იმპერიალისტების გამოცდილი პოლიტიკაა, საქართველოში კი ცენტრს ეროვნებათა შორის შუღლის ჩამოსაგდებად ხელსაყრელი საფუძველი ეგულებოდა.

საქართველოში ქართველთა გვერდით 100-მდე სხვადასხვა ერის წარმომადგენელი ცხოვრობს და ასე იყო ძველთაგანვე, მაგრამ საქართველოს ისტორიამ არ იცის ეროვნული ან რელიგიური ნიშნით ადამიანთა დევნა-შევიწროვების არც ერთი ფაქტი. შუასაუკუნეთა არაბულ და სპარსულენოვანი მწერლები მოგვითხრობენ, რომ მუსლიმები საქართველოში უფრო უხიფათოდ გრძნობდნენ თავს, ვიდრე თავის სამშობლოში.

ქართველთა ტოლერანტობის არანაკლებ მეტყველი მაგალითია საქართველოში 2000 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მცხოვრებ ებრაელთა ისტორიაც. საქართველო ქართველ ებრაელთა ნამდვილ სამშობლოდ იქცა, ხოლო ქართული ენა მათ მშობლიურ ენად. რუსეთთან შეერთების შემდეგაც კი ანტისემიტიზმმა ფეხი ვერ მოიკიდა საქართველოში და დღეს, როდესაც ებრაელები მასობრივად მიდიან ისრაელში, ქართველი ებრაელები ერთადერთნი არიან საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებულთა შორის, რომლებიც არ წყვეტენ კავშირს თავის ქართულ დიასპორასთან და ისრაელშიც ცდილობენ შეინარჩუნონ ქართული თვითმყობადობა, აქვთ ქართული გაზეთები, სკოლები, ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები, ზრუნავენ პალესტინაში არსებულ ქართულ ისტორიულ ძეგლებზე და ა. შ.; რითაც გამოხატავენ მადლიერებას იმ ერისა და ქვეყნის მიმართ, რომელმაც შეივრდომა ისინი და სადაც არასოდეს არ უგრძვნიათ უცხოობა.

საქართველო, რომელიც საუკუნეთა მანძილზე განუწყვეტლივ ებრძოდა მოძალებულ მტერს, მუდამ გულღიად ხვდებოდა ლტოლვილებს, აძლევდა მათ სარჩოს და თავშესაფარს, თუმცაღა არც თვითონ იყო დალხინებული.

ასე დასახლდნენ საქართველოს მიწაზე კომპაქტურად სომხები თავისი ეროვნული სახელმწიფოს დაკარგვის შემდეგ, ირანიდან გამოსული აზერბაიჯანლები, თურქეთიდან გამოქცეული ბერძნები. ქრისტიანი ასირიელები, ქურთი-იეზიდები და იგივე სომხები (მარტო 1915-1918 წლებში საქართველომ შეიფარა თურქეთიდან ლტოლვილი 100 000-ზე მეტი სომეხი); ჩრდილოეთ კავკასიიდან რუსი კაზაკების მიერ შევიწროებული დაღესტნელები და ოსები და სხვა. XIX ს-ში საქართველოში ჩამოასახლეს ათასობით რუსი სტაროვერი და მოლოკანი, აგრეთვე გერმანელები და ესტონელები.

10.1. საქართველოში მოსახლე არაქართველთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავიათ აფხაზებს, რომლებიც ქართველებთან ერთად საქართველოს უძველესი მკვიდრი მოსახლეობაა და საქართველოს გარდა მათ სხვა სამშობლო არ გააჩნიათ. უძველესი დროიდან აფხაზები და ქართველები ერთ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ და ერთიან კულტურას ქმნიდნენ, საეკლესიო და კულტურის ენა აფხაზისა და ქართველისათვის ერთი იყო — ქართული. გაუცხოება ქართველსა და აფხაზს შორის დაიწყო საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და ქართული ეკლესიის გაუქმების შემდეგ; ამას ხელი შეუწყო აფხაზთა შორის ისლამის გავრცელებამაც და 1870-იან წლებში რუსეთის ხელისუფლების მიერ აფხაზეთში განხორციელებულმა გენოციდმა: აფხაზეთის ბარის თითქმის მთელი მოსახლეობა — აფხაზიც და ქართველიც — აჰყარეს და თურქეთში გადაასახლეს, რითაც გაწყდა კულტურული განვითარების უწყვეტობა.

1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია აღიარებდა აფხაზთა ავტონომიას საქართველოს ფარგლებში.

აფხაზებს ავტონომია ექნებათ მომავალ თავისუფალ საქართველოშიც.

დღევანდელი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზები შეადგენენ მთელი ნახევარმილიონიანი მოსახლეობის 17 პროცენტს — (ქართველები — 43 პროცენტი), მაგრამ ნომენკლატურულ თანამდებობათა 80 პროცენტი რესპუბლიკაში ეროვნებით აფხაზებს უკავიათ.

მმართველ თანამდებობაზე კანდიდატურების ეროვნული ნიშნით შერჩევა საბჭოთა საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მახასიათებელია და ამავე დროს ერის, განსაკუთრებით, მცირერიცხოვანი ერის გარყვნა-გადაგვარების მძლავრი იარაღიც არის ე. წ. ცენტრის ხელში.

უცხოელი (არასაბჭოელი) ამ მექანიზმს ძნელად თუ გაიგებს, რადგანაც თქვენთან, თავისუფალ სამყაროში ხელმძღვანელი პირი მუშაობს, მართავს, საქმეს აკეთებს, საბჭოთა კავშირში კი თანამდებობის პირი, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის მმართველი ელიტის — პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატის წევრია და სარგებლობს სათანადო პრივილეგიებით: თანამდებობა იმისთვის უკავია, რომ ჭამოს. მაგრამ პრივილეგიების სანაცვლოდ პიროვნებამ უარი უნდა თქვას პიროვნულ ღირსებაზე, პატიოსნებაზე, საკუთარ აზრზეც კი. ამიტომ საბჭოთა კავშირში თანამდებობა რყვნის ადამიანს, ხოლო როცა თანამდებობას იკავებენ ეროვნული ნიშნის მიხედვით და ამასთან ეს ერი მცირერიცხოვანია, — ირყვნება მთელი ერი, კარგავს ტრადიციებს, კულტურას, ენას (მმართველობის ენა რუსულია!), განიცდის დენაციზაციას. ასე ემართება აფხაზებსაც, თუმცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ერთადერთი ავტონომიური რესპუბლიკაა მთელ საბჭოთა კავშირში, სადაც არსებობს ეროვნული (აფხაზური) უნივერსიტეტი და ტელევიზია, სახელმწიფო თეატრი, ცხადია, გამომცემლობა, გაზეთები და ა. შ.

10.2. იგივე ითქმის ე. წ. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში მცხოვრებ ოსებზეც. მაგრამ აფხაზებისაგან განსხვავებით ოსები საქართველოს მკვიდრი მოსახლეები არ არიან, და მათი სამშობლო, ოსეთი, მდებარეობს ჩრდილო კავკასიაში — ეს არის დღევანდელი ჩრდილო-ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა.

საქართველოში ოსთა ინფილტრაცია კავკასიონის ქედის გადაღმიდან კარგა ხანია დაიწყო, მაგრამ ამ პროცესმა განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიიღო XVII-XVIII საუკუნის შემდეგ, როდესაც კავკასიის მთისწინა ველებზე რუსი კაზაკები გამოჩნდნენ. რუსული ექსპანსიის შედეგად განსაკუთრებით დაზარალდნენ ჩრდილო-დასავლეთი კავკასიის მკვიდრნი — ჩერქეზები (ადიღელები), უბიხები, რომლებიც რუსებმა პრაქტიკულად მოსპეს (თურქეთში გაასახლეს). მაგრამ კარგი დღე არც სხვა ხალხებს დაადგათ. შეავიწროვეს ოსებიც, რომელთაც რუსებმა წაართვეს ბარი. ოსეთზე გადიოდა რუსეთისა და საქართველოს დამაკავშირებელი ძირითადი მაგისტრალი — საქართველოს სამხედრო გზა და რუსეთი დაინტერესებული იყო, რომ ურჩი ადგილობრივი მოსახლეობა მოეცილებინა ამ გზიდან. თავისი სამშობლოდან, ჩრდილო კავკასიიდან, აყრილი ოსები მოისწრაფოდნენ საქართველოსკენ, სადაც ეძიებდნენ ლუკმა-პურსა და თავშესაფარს და იღებდნენ კიდეც: საქართველომ არც ამჯერად უღალატა ტრადიციულ სტუმართმოყვარეობას და ფართოდ გაუღო ლტოლვილებს კარი.

მაგრამ ოსები საქართველოში შემოსახლებულ უცხო ერთა წარმომადგენელთაგან ერთადერთია, რომელსაც მესამე ძალამ — საბჭოთა რუსეთმა — საქართველოს მიწაზე **ტერიტორიული ავტონომია** მიანიჭა. ეს ისტორიაში უმაგალითო შემთხვევაა. ერი, რომელსაც აქვს თავისი მშობლიური ეროვნული სახელმწიფო, სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე და სხვა ერის ხარჯზე მეორე სახელმწიფოს აყალიბებს: ეს იგივეა, რომ გერმანიაში სამუშაოს საძებნელად ჩასულმა თურქებმა საკუთარი სახელმწიფოს შექმნა მოითხოვონ და შექმნან.

ახლა უკვე ყოფილი სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობს 65000 ოსი, მის ფარგლებს გარეთ კი საქართველოს სხვა კუთხეში — 100 000-ზე მეტი. ოსებს საქართველოში აქვთ ოსური სკოლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, გამომცემლობა, თეატრი, გამოდის ოთხი ოსური გაზეთი და სხვა. (შესადარებლად: ჩრდილოეთ ოსეთში, ე. ი. ოსების სამშობლოში ოსური სკოლები საერთოდ არ არის და ოსური ენა დავიწყებას ეძლევა, მიდის ოსთა ინტენსიური გარუსება). არავითარ დისკრიმინაციას ოსები საქართველოში არ განიცდიან, პირიქით ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში იჩაგრებიან სწორედ ქართველები და სისტემატურად მცირდება კიდეც იქ ქართული მოსახლეობა — გამორბიან. პარადოქსია, მაგრამ საკუთარ სამშობლოში გაჩნდნენ ქართველი ლტოლვილები.

თავისუფალი საქართველოს არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მცირერიცხოვანი ხალხების ენისა და კულტურის გადარჩენის ერთ-ერთი რეალური გარანტიაა.

(დასასრული იქნება)

# თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ

ამა წლის 15 მარტის ნომერში გაზეთ „თავისუფალ საქართველოში" გამოქვეყნებული იყო კორესპონდენცია „იმელის" ყოფილ შენობაში 13 მარტს გამართული პრესკონფერენციის შესახებ. რედაქციისაგან მინაწერში ვკითხულობთ: „საინტერესოა, წერილის (იგულისხმება გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნებული მიმართვა — გ. ყ.) ერთ-ერთი ხელისმომწერი და ხსენებული პრესკონფერენცია-მიტინგის მონაწილე ბატონი გურამ ყორანაშვილი რა შეფასებას აძლევს „იმელის" თავყრილობაზე გამოთქმულ „მოსაზრებებს?" სიამოვნებით მოგახსენებთ ამის თაობაზე.

პრესკონფერენციაზე განიხილებოდა უაღრესად აქტუალური საკითხი, რომელსაც საქართველოს დღევანდელი ოფიციალური პრესა ნაკლებად აშუქებს. აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებაზე თვით ფაქტებსაც კი შეზღუდულად გვაწვდიან, მითუმეტეს გამორიცხულია მოვლენების მთლიანი ანალიზი. პრესკონფერენციის მომწყობნი შეეცადნენ შეევსოთ აღნიშნული ხარვეზი, რაც, ცხადია, უთუოდ მისასალმებელია.

კორესპონდენციის ავტორი შეეცადა გადმოეცა პრესკონფერენციის მომწყობთა პოზიცია და მოთხოვნები, მაგრამ არ ჩანს თუ რას ფიქრობს იგი აღძრული საკითხის არსზე. „თავისუფალი საქართველოს" კორესპონდენტი, როგორც თვითონვე აცხადებს, ამისგან თავს იკავებს. მაგრამ, რასაკვირველია, თავს არ იკავებს პრესკონფერენციის მომწყობთა პოზიციის უარყოფითი, თანაც ზერელე შეფასებისგან. ჩვენ ვიზიარებთ ეროვნული კონგრესის აფხაზეთიდან წარმოდგენილ წევრთა შეშფოთებას და საერთოდ საკითხის შესახებ შევეცდები საზოგადოებას სპეციალური სტატიით ვამცნობო.

მცდარია, არ შეეფერება სინამდვილეს, იმის აღნიშვნა, რომ „ზ. გამსახურდიას პიროვნებაზე გაცილებით მეტი ილაპარაკეს, ვიდრე აფხაზეთის პრობლემებზე". შესაძლოა, პრესკონფერენციის ზოგიერთმა მომწყობმა და მონაწილემ ვერ მოზომა ბატონ ზვიად გამსახურდიას მისამართით, მაგრამ რატომ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ 13 მარტს შუადღით ინტელიგენციის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, ხოლო შემდეგ საღამოს გამართულ პრესკონფერენციაზე ბ-ნმა ზვიად გამსახურდიამ აფხაზეთიდან წარმოდგენილი კონგრესმენები „ერის მოღალატეებად" გამოაცხადა. უცნაურია, რომ კორესპონდენტი და ალბათ, „თავისუფალი საქართველოს" რედაქცია ამაში არაფერ საჩოთიროსა და ალმაშფოთებელს არა ხედავს. მათი წარმოდგენით კონგრესმენებს შეშფოთების გრძნობა მხოლოდ გაზეთ „ედინენიეს" მიმართ უნდა გამოეხატათ. მაგრამ სანამ მსგავს დასკვნას გააკეთებდა, განა ბ-ნ ზვიად გამსახურდიას არ უნდა შეემოწმებინა აღნიშნული გაზეთის ცნობა? განა არ უნდა დალოდებოდა გარკვევას იმისა მართლაც ესწრებოდნენ თუ არა კონგრესმენები ოჩამჩირეში გამართულ მიტინგს ან თუ ესწრებოდნენ რა ფორმით გამოიხატა მათი დასწრება? სხვათა შორის, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე (9 მარტს) ჩვენ მივუთითეთ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ამის თაობაზე.

ან რა კრიმინალი უნდა იყოს კორესპონდენტის ჩაძიება იმის შესახებ, თუ „საიდან გაუჩნდათ ვიდეოკასეტა მიტინგის სრული ჩანაწერით". განა ეს ასე დამაეჭვებელი გარემოება გახლავთ?

ჩვენ ბუნებრივად მივიჩნევთ აფხაზეთიდან წარმოდგენილი კონგრესმენების მოთხოვნას, რათა უზენაესი საბჭოსა და ეროვნული კონგრესის წევრებს შორის აფხაზეთის საკითხზე გამართულ იქნას დებატები ტელევიზიით, გნებავთ პრესით. მეტიც, ეს აუცილებელი გახლავთ.

აი, მოკლედ იმის შესახებ, თუ რას ვფიქრობთ პირადად ჩვენ 13 მარტს „იმელში" გამართულ პრესკონფერენციაზე.

**გურამ ყორანაშვილი.**

P.S. 22 მარტს გაზეთ „თავისუფალ საქართველოში", სადაც გაშუქებულია ინტელიგენციის წარმომადგენლების შეხვედრა უზენაეს საბჭოში, პირადად ჩვენთან დაკავშირებით ორ გაუგებრობას აქვს ადგილი. ერთ ადგილას ჩემი აზრი ბუნდოვნად, გაურკვევლად არის გადმოცემული, ხოლო მეორეგან — მცდარად. გაზეთში აღნიშნულია თითქოს ჩვენ თავიდანვე არ ვიყავით კონგრესის მომხრე და ამდენად გამოდის, რომ აბსოლუტურად წინააღმდეგი ვართ ამ ორგანოსი. სინამდვილეში ჩვენ ვმონაწილეობდით ეროვნული კონგრესის არჩევნებში, კანდიდატადაც კი ვიყავით დასახელებული „დემოკრატიული საქართველოს" სიით და ჩვენი პოზიცია აღნიშნული ორგანოს მიმართ პრესის მეშვეობითაც აშკარად დამიდასტურებია.

25. III. 91. წ.
(სტილი დაცულია. — რედ.).

# გვაინტერესებს, თანაც გვაწუხებს...

ბატონ გ. ყორანაშვილს უპირველესად მადლობას მოვახსენებთ — რედაქციას აინტერესებდა, თუ როგორ აფასებს იგი „იმელის" თავყრილობაზე გამოთქმულ „მოსაზრებებს"... პერსონალურად ბატონი გურამის აზრი იმიტომ გვაინტერესებდა, რომ იგი, ერთის მხრივ, წინააღმდეგია „შეურაცხყოფის, ცილისწამების" და მეორეს მხრივ, აქტიურად მონაწილეობდა „იმელის" შეკრებაში, სადაც ხმამაღლა გაისმოდა შეურაცხყოფაცა და ცილისწამებაც. ეს რომ მართლაც ასე იყო, ბატონი გურამი არ უარყოფს, იძულებულია დაწეროს — „შესაძლოა, პრესკონფერენციის ზოგიერთმა მომწყობმა და მონაწილემ ვერ მოზომა ბატონ ზვიად გამსახურდიას მისამართით..." საოცარია, როგორ ამბობთ, რომ კონგრესმენთა ჯგუფმა „ვერ მოზომა"? პირიქით, სწორედაც, თავისი ჭკუით, მოზომა, მაგრამ სინამდვილეში უკუღმართი, უვარგისი საზომით (ეს იგივეა, ღვინის სიმაგრე მისი ტემპერატურით შეაფასო) და სრულიად უადგილოა იმის მოხმობა, თუ რა ილაპარაკა 13 მარტს ბატონმა ზვიად გამსახურდიამ (სინამდვილეში ხსენებული შეხვედრაც და პრესკონფერენციაც 9 მარტს გაიმართა. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ერის ღალატად შეაფასა საქართველოს სამტროდ გამართულ მიტინგში კონგრესმენების მონაწილეობა. ეს უკანასკნელი ფაქტი კი ჯერ არავის გაუბათილებია და, ალბათ, არც გააბათილებს). ბატონო გურამ, „ალმაშფოთებლად" ჩვენ ღალატი მიგვაჩნია, ხოლო, რბილად რომ ვთქვათ, „საჩოთიროდ" — მოღალატეთა ქომაგობა!. „საქართველოს ეროვნული კონგრესის წევრთა განცხადება", რომელიც პრესკონფერენცია-მიტინგის, ასე ვთქვათ, იდეურ საფუძველს წარმოადგენდა, 8 მარტს გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების გაზეთ „ბედია"-ში. ამ განცხადებაში საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას „ადგილობრივი მარიონეტული" ეწოდება და იმაზე ლაპარაკი, რომ ვიღაცამ რაღაც „ვერ მოზომა", ცოტა არ იყოს, სასაცილოა. ლოგიკურია (იქნებ, „ეთიკურიც"?!) რომ თუ ხელისუფლება მარიონეტულად მიგაჩნია, კიდეც ლანძღავ და კიდეც აგინებ — ხელისუფლება, რომელიც „კრემლის სურვილისამებრ" მოქმედებს, ყველაფრის ღირსია — მაგრამ დღევანდელი, ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეული, ხელისუფლება რატომაა კვლავაც მარიონეტული, ვერაფრით გაგვიგია. როგორც ჩანს, საქართველოში ეს კონგრესმენების გარდა არც არავის ესმის. თუმცა, ხალხი რას ფიქრობს, კონგრესს არ აინტერესებს და გამოდის, საქართველოში ერთადერთი ხელისუფლება, რომელიც მარიონეტული არ იქნება, თვით კონგრესის ხელისუფლება ყოფილა. ამის გამო, კონგრესმენების მხრიდან დემოკრატიის (ხალხის ძალაუფლების) მოთხოვნა, ცოტა არ იყოს, ტრაგიკომიკურად გამოიყურება, მეტი რომ არა ვთქვათ... შესაძლოა, თქვენ ყველას მიგაჩნიათ, რომ ქართველი ხალხი თქვენი ღირსი არ არის, „დაბრმავებული ბრბოა", თქვენ უნდა აუხილოთ მას თვალი და წინ წარუძღვეთ, მაგრამ იქნებ თავად თქვენ არა ხართ თქვენი ხალხის ღირსი?! ამის შესაძლებლობას თეორიულად მაინც თუ უშვებთ?!

ბატონო გურამ, „იმელის" პრეს-კონფერენცია-მიტინგის ფაქტობრივი მიზანი რომ ბატონ ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაცია იყო, თქვენ არ უარყოფთ. პრეს-მიტინგი შემდეგი სქემით მიმდინარეობდა — აფხაზეთში მძიმე მდგომარეობაა იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდია ცუდია, ზვიად გამსახურდია ცუდია იმიტომ, რომ ძალიან ცუდია... კორესპონდენციაში ჩვენი ფრაზა, „ზ. გამსახურდიას პიროვნებაზე გაცილებით მეტი ილაპარაკეს, ვიდრე აფხაზეთის პრობლემებზე", სწორედ ამას გულისხმობს.

პრეს-მიტინგის აბსურდულობა მკითხველს თვითონ უნდა ეგრძნო, ამიტომაც პირდაპირი შეფასებისაგან ვეცადე თავი შემეკავებინა. თქვენ მისაყვედურეთ, რომ კორესპონდენციაში არა ჩანს, თუ რას ვფიქრობ აღძრული საკითხის არსზე. მართლაც, წერილი ინფორმაციული ხასიათისა იყო, მაგრამ თუ ასე გაინტერესებთ ჩემი აზრი, მოგახსენებთ — პრეს-მიტინგმა ვერ დამარწმუნა, რომ აფხაზეთში არსებული რთული ვითარება გამოწვეულია ზვიად გამსახურდიას მიერ აფხაზეთის გაყიდვით (თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც კი ვერ გავიგე, რუსებს მიჰყიდა ზვიად გამსახურდიამ აფხაზეთი თუ საკუთრივ აფხაზებს, თუ ორივეს ერთად).

ისე, თუ ჩემი აზრი მართლა გაინტერესებთ, იცოდეთ, რომ მე განცვიფრებული ვარ თქვენი (ვგულისხმობ კონგრესმენებს [illegible] სის თანამგრძნობ — [illegible] რამდენიმე ჩემი [illegible]) სულოვანი სიძულვილით ერთი ადამიანისადმი... თანაც, თქვენი სიძულვილი იმდენად ძლიერია, თუ შეიძლება ითქვას, იმდენად ინტენსიურია, რომ აღარ გენაღვლებათ, ვისთან ერთად ებრძვით უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ვინ აღმოჩნდა თქვენი მოკავშირე (აქედან გამომდინარე, სულაც არ მეჩვენება დაუჯერებლად ოჩამჩირეს მიტინგში კონგრესმენების მონაწილეობა). თქვენ წერთ — „მათი (იგულისხმება „თავისუფალი საქართველოს" რედაქცია — ი. ლ.) წარმოდგენით კონგრესმენებს შეშფოთების გრძნობა მხოლოდ გაზეთ „ედინენიეს" მიმართ უნდა გამოეხატათ". ბატონო გურამ! რა შეშფოთების გამოხატვაზე ლაპარაკობთ?! რა შუაშია საერთოდ შეშფოთება?! კონგრესს „ედინენიესთვის" სასამართლოში უნდა ეჩივლა და თავისი სიმართლე ოფიციალურად დაემტკიცებინა. თქვენ კი პრეს-მიტინგზე „ედინენიეს" სიტყვიერი პროტესტიც კი არ განუცხადეთ, — საინტერესოა, რატომ?!

საოცარია, ღმერთმანი! კონგრესმენებს სალაპარაკო ერთთავად ისა აქვთ, რომ მათ მოთხოვნებს საინფორმაციო საშუალებები არ აშუქებენ. პრეს-მიტინგზე მიკიჟინებდნენ — მაგასაც ვნახავთ, რას დაბეჭდავთ, ცხადია, არც არაფერსო. ხოლო როდესაც საინფორმაციო წერილი გამოვაქვეყნეთ, („კორესპონდენციის ავტორი შეეცადა გადმოეცა პრესკონფერენციის მომწყობთა პოზიცია და მოთხოვნები..." — წერს გ. ყორანაშვილი.), მისაყვედურეთ, (თითქმის შემარცხვინეთ!), ჩვენდამი უარყოფითი დამოკიდებულება გაქვსო!

ეჰ, დაჩაგრული დემოკრატის პოზაში დგომა, იცოცხლე, კარგია, ოღონდ, გაითვალისწინეთ — დიდხანს ერთი და იგივე მდგომარეობის შენარჩუნება არც თუ მოსახერხებელია. და ვინ იცის, სახიფათოც კი — ჯერ ერთი, სხეულმა დაბუჟება იცის, რაც მთლად სასიამოვნო არაა, და მეორეც, ხალხმა დაბუჟებულ-გაკავებული სხეული შეიძლება შეცდომით ქანდაკებად აღიქვას და ჩამოგდება გადაწყვიტოს (მოგეხსენებათ, ძეგლების ნგრევა აქაური „ბრბოს" საყვარელი გართობაა).

აი, ნეობოლშევიზმი! ფიზიკური ანგარიშსწორებით გვემუქრებიან! — იტყვით თქვენ და, ალბათ, ახალ პრეს-მიტინგს მოაწყობთ. ნება თქვენია, ისე კი, უნდა გითხრათ, განცვიფრებული ვარ თქვენი გულადობით, არც პირსისხლიანი დიქტატორის გეშინიათ და ჩვენთან რედაქციაშიც თქვენი ფეხით დაბრძანდებით! საარაკო მამაცობაა. გილოცავთ!

**ირაკლი ლომოური**
(მივლინებული კორესპონდენტი)

**რედაქციისაგან — 22 მარტის „თავისუფალ საქართველოში" გამოქვეყნებული ბატონ გურამ ყორანაშვილის გამოსვლის ტექსტის თაობაზე მოგახსენებთ — ჩვენ არაფერი ვიცით ბატონ გურამ ყორანაშვილის „აზრების" შესახებ, (ბრჭყალებს ციტირების აღსანიშნავად ვხმარობთ და მხოლოდ), ამდენად, არც მათში წვდომას ან მათ „გადმოცემას" ვცდილვართ, ჩვენ დავბეჭდეთ მაგნიტოფირიდან გაშიფრული ბატონი გურამის სიტყვა, ოღონდ არა სიტყვასიტყვით. რაკი ამ გარემოებამ პ ი რ ა დ ა დ მ ა თ თ ა ნ დაკავშირებით გაუგებრობა წარმოშვა, თანაც ორი, ახლა ვეცდებით ჩვენი უნებლიე შეცდომის გამოსწორებას, — ვბეჭდავთ ზემოხსენებულ შეხვედრაზე ბატონ გურამ ყორანაშვილის გამოსვლის ტექსტიდან ჩვენს მიერ ადრე მცდარად გადმოცემულ მონაკვეთს სიტყვასიტყვით: „მოგეხსენებათ, აი კუნძულ ელბადან რომ გაიქცა ნაპოლეონი, 100 დღე მმართველობის და ისტორიკოსებს უკვე აქვთ გამოკვეთილი პოზიცია ამ 100 დღეში რა გააკეთა ნაპოლეონმა და უკვე 120 დღე გახდება მალე, რაც ჩვენ უზენაესი საბჭო ახალი გვყავს და ახალი მთავრობა და აგერ ბევრს სახალხო ფრონტელს ვხედავ და დამეთანხმებიან ჩემი პოზიცია რა იყო, მე კონგრესის მომხრე ძირითადად არ ვიყავი, მე ძირითადად ვიყავი მომხრე უზენაესი საბჭოსი და თუ გახსოვთ, მე კიდევაც მივესალმე და ძალიან გამეხარდა, რომ ჩვენ ვაჯობეთ კომუნისტებს, ეს იყო საერთო საქმე, იმდენად საერთო იყო, რომ ჩვენ გვეჯობნა კომუნისტებისათვის. კი ბატონო, ამაში დამსახურება მრგვალი მაგიდის, პირადად ბატონ ზვიად გამსახურდიასი. მაგრამ მე ხმა არ ამომიღია ორი თვის მანძილზე, მაგრამ უკვე გამოიკვეთა, უკვე გამოიკვეთა ბევრი რამ, მაგრამ ახლა აგერ ცაიტნოტში ჩავვარდები, ხუთი წუთია რეგლამენტი, თანაც აუდიტორია ბევრი აშკარად ისაა და აი სხვა დროს, აი გნებავთ, ჩემს სათქმელს მოგახსენებთ. პარადოქსული რა არის, აი, ეს ოთხი წელია, ასე ვთქვათ... ...გამოვედი, ერთი ორი ტომი დაიბეჭდება გამოვა ჩემი წიგნები, პრინციპული ნააზრევი, მაგრამ ახლა უკვე ველარ ვბეჭდავთ, გნებავთ, რამდენი მიტანილი მაქვს ოდნავ კრიტიკული და საშინლად ეშინიათ ჟურნალისტებს"... და ა. შ. და ა. შ." (მრავალწერტილით აღნიშნული სიტყვის გაშიფვრა სრულიად აღემატება რედაქციის თანამშრომელთა ძალებს, რისთვისაც ბოდიშს მოვითხოვთ როგორც ბატონი გურამის, ასევე მკითხველის წინაშე).**

**თუ ზემოთ მოტანილი ტექსტი გაუგებრობას აგვაცილებს, ბუნდოვანებას გაფანტავს და მკითხველს დაეხმარება ბატონი გურამ ყორანაშვილის ნააზრევის მართებულად გაგებაში, რედაქცია გაწეულ მცირე შრომას ფუჭად არ ჩათვლის.**

# საით მიდიხარ, ბაყათარო?!

„და მთავარი ბაყათარგანდიდებულ იყო და აოხრებდა ქართლსა, ტრიალეთსა და განასხმიდა მამულისაგან აზნაურთა, და იყო ჭირი დიდი მკვიდრთა ქართლისათა".
(„ქართლის ცხოვრება", ტ. II, გვ. 316-317).

ვიცი ტყუილად გეხმაურები, ბაყათარო, ამთავითვე ვგრძნობ ვერაფერს შეგასმენ, მაგრამ, სამურზაყანოში მოარული ანდაზისა არ იყოს, არ გეგონოს ვერ ვიგრძენი, შენს შეჭამანდს მარილი რომ აკლია. დიდხანს გეგონა ვერა ვგრძნობდით, რაც გედო გულში, მაგრამ ჩვენ ინტერნაციონალისტები ვიყავით, ყურსაც ვიხშობდით, თვალსაც ვიბრმავებდით, თითქოს ვერ ვამჩნევდით, როგორ იდევნებოდა ქართლში ქართული, როგორ იბილწებოდა ჩვენი ტაძრები. აი, რაში ვართ დამნაშავე შენთან, ბაყათარო! ათწლეულების მიღმა შენი აღვირახსნილი მადისთვის ლაგამი რომ ამოგვედო, დღეს ორივე მშვიდად და წყნარად ვიცხოვრებდით ქართლის მიწაზე.

რამდენი სამარცხვინო ფურცელი უნდა ჩაწერო ისტორიაში? შენ ხომ მაშინ ხარ გმირი, როცა ურჩხული გიდგას მცველად. გადაიხედე საუკუნეების მიღმა, მონღოლთა მიერ საკუთარი მიწიდან აყრილი შენი წინაპარი გაიხსენე, ის წინაპარი, თავის მომთხრელსა და ამომგდებს ძმად რომ შეეფიცა და საქართველოს აოხრებაში მონური ერთგულებით ემსახურა. დიდ გამჭრიახობაზე თავს არა ვდებ, მაგრამ ასე მგონია, თავიდანვე ბინძური ძალადობის წინაშე ქუდის ქიცინი რომ არ გყვარებოდა, ძლიერთან სუსტი რომ არა ყოფილიყავი და სუსტთან ძლიერი, დღეს შენს ისტორიულ სამშობლოში იქნებოდი და ბაყათარის სახელიც აგცდებოდა. სუსტთან ძლიერი-მეთქი. აბა, გაიხსენე, როცა საქართველოს პირდაღებული ვეშაპი მოადგებოდა, ვისთან იდექი, ვის მსახურებდი?

მეც ბაყათარი ვიქნები, ქართველებთან ერთად პატიოსან ბრძოლაში დაღვრილი ოსთა სისხლი რომ დავივიწყო, იყვნენ, როგორ არა, და ღმერთმა ნუ ქნას, დღესაც არ იყვნენ ოსთა შორის ისეთი ადამიანები, რომელთაც იციან რა არის, სამართლიანობა, ზნეობა, მაგრამ .ვად, რომ შენ, ბაყათარო, ყველა ნათელი დაჩრდილე, ყველა ხიდი ჩაჭერი და ჩაწვი, ღალატით გამოიარე საუკუნეები და დღესაც ღალატით დათარეშობ ქართლის მიწაზე. იქ იმკი, სადაც არ გიხნავს, ომახიანად იქ გაჰყივი, სადაც გიერთგულეს, თავად მიიწ-მოიწიეს და მიწა გიბოძეს. მიწა კი იცი, რა არის, ბაყათარო? მიწა არის ის ერთადერთი, რასაც არც ერთი ჭკუათმყოფელი ერი უომრად არ თმობს, ეს არის განუმეორებელი სიმდიდრე, რისი გაღებაც შეუძლია ერს სხვა ერისათვის. ქართული მიწა უშურველად გაიღეს შენთვის და ამით საკუთარი მოდგმის საზიანოდ შენი მოდგმა გადაარჩინეს, შენ გადაგარჩინეს, ბაყათარო! შენი ენა და სიმღერა გადაარჩინეს, ქედს იქით ხსენებაშიც რომ აღარ არის! და ეს როდის? მას შემდეგ, როცა ახალშობილ თავისუფალ საქართველოს წიხლი ჩაეცი გულში! მერე კი რა მოიმოქმედე? გინახავს სხვის ბუდეში გამოჩეკილი გუგული სათითაოდ როგორ ყრის ბუდიდან უსუსურ ბარტყებს? ასე დაიწყე, ბაყათარო, ქართველთა აყრა შიდა ქართლიდან. ეს ხომ დღევანდელი ამბავი არ არის, კარგა ხანია თავხედი გუგულის ბარტყის სახელიც მიიკარი, თითქოს ბაყათარობა არა კმაროდა.

ქვეშეცნეულად ყოველთვის გრძნობდი, ქართლის მიწა შენი მშობლიური ბუდე რომ არ იყო, რადგან მადლიერების გრძნობა შენთვის ისეთივე უცხო იყო, როგორც ჩვენთვის ჭკუა და წინდახედულება, ქართველთა სიძულვილით თანდათან გისივდებოდა გული და აკი სპობდი კიდეც ყოველივე ქართულს.

ჩვენ მილიტარისტი ერი ვართო, სიამაყით ბრძანა შენმა სულიერმა მოძღვარმა ჩოჩიევმა — გენერლები გყოლიათ თურმე ბევრი, სხვათა მიწაზე მოთარეშე გენერლები! გენერლები უმეტესად ნგრევისათვის იბადებიან, ალბათ ამიტომაც ვერ შესძელი ქართლის მიწაზე თუნდაც

(დასასრული მე-8 გვ.,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვნების კვირა და აღდგომა

**ᲮᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡᲐ** და მკვდრეთით აღდგომის იდეა ქრისტიანული სარწმუნოების მთავარ საფუძველსა და საყრდენს წარმოადგენს. ამიტომ, ქრისტიანობის დასაბამითგანვე განსაკუთრებულად აღინიშნებოდა და იდღესასწაულებოდა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ვნების კვირა და აღდგომის კვირა, რომელიც გარდუვალად გაზაფხულის ბუნიობას ემთხვევა, ე. ი. დროის იმ პერიოდს, როდესაც მზე ზუსტად დასავლეთით ჩადის, ხოლო ჰორიზონტის საპირისპირო მხარეს სავსე მთვარე ამოდის. აღდგომის დღესასწაული ქრისტიანული განცდის კულმინაციას წარმოადგენს, რომელიც გაზაფხულზე ბუნების გამოღვიძებისა და აღორძინების ფონზე განიცდება.

ხალხური ტრადიციით ვნების კვირაში განსაკუთრებული წესები დიდ ოთხშაბათსა და დიდ ხუთშაბათს სრულდებოდა. ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, ამ დღეებში ავი სულები და კუდიანები დაძრწოდნენ ირგვლივ და ვნებდნენ მოსახლეობას, უწმინდურთა და კუდიანთა ხილვა შესაძლებელი იყო, თუკი მსურველი ატმის (ან სხვა რომელიმე) ხეზე ავიდოდა და იქიდან საცერში ჩაიხედავდა. ავი სულებისაგან თავის დასაცავად ყოველი მოსახლის ეზოში დიდი ოთხშაბათის (ზოგან დიდი ხუთშაბათის) საღამოს კოცონი ინთებოდა და „ჭიაკოკონა" იმართებოდა. მოარული თქმულების თანახმად, თუ კუდიანების მთიდან ავი სულები დაინახავდნენ, რომ რომელიმე ეზოში ცეცხლი არ ენთო, დაეშვებოდნენ მთიდან, შეიჭრებოდნენ ასეთ ეზოში და დაამუნჯებდნენ ან ჭკუიდან შეშლიდნენ ადამიანებს. დანთებული ცეცხლის პირას მდგომი ადამიანი წარმოსთქვამდა შემდეგ სიტყვებს:

**„ღმერთო, შენ მოგვახწარი მრავალ ახეთ დღეს**
**და დაგვიცავი ბოროტისაგან".**

ან

**„ჰარურუ, ჰარურუ,**
**შენი სვი და შენი ჭამე,**
**ჩემსას ჯვარი დამიწერე"**

ან

**„ერურუ, ერურიო,**
**ჩვენს ოჯახში გოდრა-გოდრა,**
**სხვის ვენახში კიმპლა-კიმპლა".**

და სხვა.

დანთებულ ცეცხლზე ყველა, დიდიან-პატარიანად, ხტუნაობდა, რათა თავი დაეცვა ცეცხლის (გამწმენდი) ძალით უწმიდურებისაგან და კუდიანები აღარ მოლანდებოდა. გარდა ამ ჩვეულებისა, ასევე იცოდნენ ანთებული ცეცხლის (უფრო ზუსტად ცეცხლმოკიდებული ძველი გოდრების) დაგორება გორაკებიდან.

კუდიანებისა და სხვა უწმინდური ძალების „დასაძლევად" სხვა „საშუალებებიც" გამოიყენებოდა. მაგალითად, დიდ ხუთშაბათს ოჯახის უფროსი ქალი უბრად მიდიოდა სახლიდან და ღელედან ამოიტანდა თეთრ ქვას, ქვიშას, ასკილის ეკალს, მწარე ბლის შტოს (ამ უკანასკნელისაგან ჯვრის გამოთლა იცოდნენ). მოტანილ ქვასა და ქვიშას ჰიშკართან დადებდნენ და ზემოდან ეკალს დაადებნენ, „ეშმაკის წამალიაო". ჯვარს კარებზე ან ჰიშკარზე მიაჭედებდნენ. ეკლის ღეროები ყანებში მიჰქონდათ და სხვ.

უბრად მოტანილ წყალს სასწაულმოქმედი ძალა მიეწერებოდა. მას სახლში მოასხამდნენ — „რწყილი არ გაჩნდებაო", უბრად მოტანილ წყალში წითელ პარასკევს ენდროთი ილებებოდა კვერცხები. ეს წყალი სხვადასხვა შელოცვებისათვისაც გამოიყენებოდა. სოფლის „მლოცველი" ქალები დიდი ხუთშაბათის დილას (ასევე ამაღლებაზეც) უბრად მოიტანდნენ ე. წ. „ნაუბრ ბალახებს", რომლებსაც გაახმობდნენ და შემდეგ ადამიანის (ან საქონლის) ავი თვალისაგან დასაცავ შელოცვის რიტუალისათვის იყენებდნენ.

ზოგი სააღდგომო ჩვეულება საშობაო ჩვეულების მსგავსია. მაგალითად, დიდ ოთხშაბათს (საქართველოს ზოგ კუთხეში დიდ ხუთშაბათს ან დიდ შაბათს) სოფელში იცოდნენ რიტუალური ჩამოვლა, რომელიც „ჰონაზე სიარულის" სახელითაა ცნობილი და საშობაო ალილოს ნაირსახეობაა. საღამო ჟამს, ახალგაზრდები (მოგვიანებით ბავშვები) შეგროვდებოდნენ და კალათებით ჩამოუვლიდნენ ყოველ მოსახლეს. ყველაზე მეტად ეს წესი ბოლო დრომდე მესხეთში იყო შემორჩენილი. ჰონაზე მოსულნი სახლის ბანიდან ჩამოჰკიდებდნენ კალათას და იმღერებდნენ:

**„ალანთახა, ბალანთახა,**
**ჩამოვკიდავ კალათახა,**
**ერთი კვერცხი მეც ჩამიდე**
**ღმერთი მოგცემს ბარაქახა".**

ჩამოკიდებულ კალათაში უდებდნენ კვერცხებს, პურებს, ჩირებს, სხვადასხვაგვარ სანოვაგეს და ისე გაისტუმრებდნენ მოსულებს. შეგროვილ კვერცხს წითელ პარასკევს შეღებავდნენ და აღდგომა დღეს შეჭამდნენ.

აღდგომა იდღესასწაულებოდა სამი კვირის მანძილზე (უფრო ზუსტად, აღინიშნებოდა აღდგომა — კვირა და მისი ორი სწორი). აღდგომის პირველი სწორი დიდ დღესასწაულად ითვლებოდა საქართველოში და სხვადასხვა სახელით იწოდებოდა: ახალკვირა (ახალკვირე), კვირაცხოვლობა უფლისა (უფლობში), ქალების აღდგომა (ოსურეფიშ თანაფა) და სხვა.

ხალხური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით სააღდგომოდ რაიმესთვის აუცილებლად უნდა დაედინებინათ სისხლი, სულ ერთია ინდაური იქნებოდა ეს, გოჭი თუ სხვა რამ. სააღდგომოდ ყველაფერი საუკეთესო მზადდებოდა. ამ დღისათვის სპეციალურად სააღდგომო ბურვაკი ჰყავდათ.

რამდენადაც აღნიშნული დღესასწაული მკვდრეთით აღდგომასთანაა დაკავშირებული, ამდენად ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება და პატივისცემა გარდაცვლილთა მიმართ იყო მიპყრობილი. ახალი გარდაცვლილის სახელზე იკვლებოდა ცხვარი, მზადდებოდა საკურთხი (რომელიც ზოგ კუთხეში კვირას, ზოგ კუთხეში კი აღდგომის მეორე დღეს გაჰქონდათ ეკლესიასა და საფლავზე).

ამ მიმართებით საინტერესოა სააღდგომო სუფრაზე მიცვალებულთათვის განკუთვნილი რიტუალური ხის „კამარაჲ"-ს დადგმის წესი სვანეთში. „კამარაჲ", ცხოვრების ხის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომელიმე მცენარის (ხშირად, ნაძვის) ნახევარწრედ მოღუნული ტოტი იყო, რომელზეც იკიდებოდა ყველანაირი ხილი, სხვადასხვაფრად შეღებილი კვერცხები, ყველისგან გამოძერწილი მზე და მთვარე, სხვადასხვა ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებანი, პურის თავთავები, დაწნული ყველი და სხვა. ხეს ორი მხრიდან ენთებოდა სანთელი. ხის კენწერო ფლანკირებული იყო ფრინველების გამოსახულებებით (კამარაჲ, გარდა აღდგომისა მიცვალებულთათვის იდგმებოდა ორმოცზე და წლისთავზე).

აღდგომიდან დაწყებული ორმოცი დღის განმავლობაში ქრისტიანები შეხვედრისას „ქრისტე აღსდგა", ასე ესალმებოდნენ ერთმანეთს.

ასეთი იყო სააღდგომო წეს-ჩვეულებები, რომელიც ამზადებდა დღესასწაულების: ამაღლებისა და სულიწმიდის გარდამოსვლის (სულთმოფენობის) განცდას, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით აღდგომის შემდგომ განვითარებას, შემდგომ სტადიას წარმოადგენდა.

**ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲐᲦᲡᲓᲒᲐ!**

**ᲜᲘᲜᲝ ᲐᲑᲐᲙᲔᲚᲘᲐ**

# საით მიდიხარ, ბაყათარო?!

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ერთი სალოცავის აგება. თუმცა არა, ერთმა მეცნიერმა ბაყათარმა ქართულ ტაძრებს ქართული ტიპის ოსური ტაძრები უწოდა. მაგრამ, ჩემო ბაყათარ, ქვათა სიმფონია ხმათა სიმფონიასაც ბადებს. მომასმენინე ქართული ტიპის ალანური საგალობელი და... მიწა ხომ მოგართვით, ტაძრებიც გვიჩუქებია!

ერთი შენი და ვიცი, ბაყათარ ჩემო, გვრიტივით ორ შვილს გონებას რომ უმღვრევს და ქართველებზე ბოლმავს, „ვეფხისტყაოსანი" ქართველებმა წაგვართვესო. შენი და კიდევ არაფერი, შენს რუკებსაც ვიცნობ, ახალგაზრდები რომ დაწამლე სიცრუით — ქართველები ჩვენს მიწაზე ცხოვრობენო. თუმცა ეს ჭირი მარტო შენ არ გჭირს. სხვებსაც რომ უგდო ყური, ისეთი სარუკო ომია ატეხილი, რადგან ქართველები სათვალავში არა ვართ ჩასაგდები, თქვენ დაერევით მალე ერთმანეთს. ჩვენ კი გამარჯვებულს ვთხოვთ, იქნებ სასაზღვრო ზოლზე წინ და უკან სიარულის ნება მაინც დაგვრთონ.

ჩემო ბაყათარ, რუკა ისეთი ცუღლუტი რამაა, თუ სინდისზე ხელი ავიღე, ვაშინგტონს ბანოჯაში ჩავასახლებ და ეძებოს მერე ამერიკის კონგრესმა, სად გაქრა მისი დედაქალაქი.

რომელი მიწა ვისია, ამას შეთითხნილი რუკებით ვერ დაამტკიცებ. ამას ჯობდა ათეული წლები ტყუილად არ გაგეფლანგა შურისა და ბოლმისათვის, შენი ენის განვითარებისთვის მოგეკიდა ხელი. სკოლაც გქონდა და ინსტიტუტიც, გამომცემლობაც და რადიოც. მაგრამ ხომ გახსოვს მეორე შენმა მოძღვარმა საქვეყნოდ რა თქვა? რუსულ წიგნებში ფერადი ნახატები უფრო მიმზიდველად გამოიყურება და ბავშვებს რუსული სკოლაც ამიტომ ურჩევნიათო. დალოცვილო, ერის დედა და ბურჯი — ენა, კარგად გაფერადებულ ჩებურაშკაზე თავად თქვენ გაცვალეთ და ჩვენგან რას მოითხოვთ?! თუმცა რას ვამბობ? ჩვენ ხომ უდიდესი დანაშაული მიგვიძღვის თქვენს წინაშე: ჩვენი გულუბრყვილობით გვეგონა სიკეთეს ვაკეთებდით და თქვენი მშობლიური ენა რომ არ დაგეკარგათ, ოსურისათვის ქართული დამწერლობა გიბოძეთ. ეს კი თქვენი ენის მოსპობის სურვილად ჩაგვითვალეთ და ახმაურდით. რა ვქნათ, ბატონო, განა ყველა ერს ჰყავს მესროფ მაშტოცი, კონვეიერიდან ფუნთუშებივით ჰყრიდეს დამწერლობას? ჩვენ უნიჭო ხალხი ვართ და რაცა გვქონდა, ის გიბოძეთ.

ქვეყანა ჩალით არ არის დახურული, ბაყათარ, რუსის ზარბაზნითაა ცა ჩამობნელებული, მაგრამ იმ ზარბაზნის იმედი ნუ გექნება, არც ისე მაგარია, როგორც გგონია. ცოტას კიდევ იშავდღევებს და თვითონვე მოიხრჩობს თავს. შეწყდება ბოროტების ზეიმი. დღეს ერთად გვიტევთ, ხვალ თუ დაგჭირდათ, ერთმანეთს დაჭამთ. უსამართლობა და ბოროტება მტკიცე დუღაბი არ არის. თქვენ ყაჩაღური ინსტინქტი გაკავშირებთ. მწარედ ყოფილხარ დაწყევლილი. უგუნურებამ იქამდე მიგიყვანა, სისხლით მთვრალი რუსული ხიშტით დახვრიტე და ჯვარს აცვი ის აკვანი, ქართლი რომ ჰქვია და შენ რომ მოგართვით. მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ. პირსისხლიანი ბოლშევიკები იყვნენ შენი მეგობრები ყოველთვის, პირსისხლიანი საბჭოთა ჯარით გედგა სული. თავმოყვარე კაცს საბჭოთა სახელმწიფოსაგან ასე უშურველად გაღებული მოწყალება არ ეკადრება. ნამგალი და ურო სიკეთისათვის არაფერს იძლევა, ის ბოროტების დამცველი იყო მუდამ. არადა, შეხე, რა ხელგაშლილად მოგართვა ნახევარი ინგუშეთი და ქართლი. რისთვის გამოიჩინა ასეთი ხელგაშლილობა შენს მიმართ, გიფიქრია ამაზე, ბაყათარო?

იმპერიას განა იმიტომ უყვარხარ, რომ წყაროს თვალივით წმინდა ხარ (ან თავად იმპერიამ რა იცის, რა არის წყაროს თვალი?), ჩვენ კი განა იმიტომ ვეჯავრებით, რომ რაც კი დედამიწაზე სიავეა, ყველა ჩვენ გვჭირს? არა, ბაყათარ, თავს ნუ მოიტყუებ! საქმე ისაა, რომ შენ და კიდევ ერთი ჩვენი ძმა (რომელზეც მართლა მტკივა გული, რადგან ის ჩვენთვის სულ სხვაა), ისეთი მონდომებით მიიწევთ ურჩხულის სტომაქში, უკვე მონელებული ჰყავხართ. ჩვენ კი სხვისი სტომაქი არ გვიზიდავს, ბრჭყალებიც გვზიზღავს მისი. სტომაქში სიკვდილია, ბაყათარ! ბრჭყალებიდან თავის დახსნა კი — სიცოცხლე. თუ დაფიქრება შესძელი დღ, ღმერთმა ქნას, თვალი აგეხილა, ჩვენს მოსაკლავად ნაყიდი ტყვია ჩოჩიევ-ჩეხოევს არ ასცდება, ღმერთმანი!

სიკეთის არდამნახავს თავად გამოაქვს განაჩენი თავის თავისთვის. რუსეთმა, მის საკეთილდღეოდ ასიათასობით ქართველის გაღებული სისხლი ვერ დაინახა, შენ კი — უშურველად გაღებული ჩვენი სიკეთე. ასე თვალებდათხრილები სადამდე იბოგინებთ?! ამის მნახველი ვინღა გენდობათ დედამიწაზე?

ჩემო ბაყათარ, როგორ გგონია, ავლანეთში ნაომარი რუსის ხიშტი „იუჟნაია ოსეტიას" იცავს? არ მოტყუვდე: ის ქართლის მიწაზე „სამაია, სამაია იუჟნაია როსიას" უდგას დარაჯად, და შენც ამას წაგაკლა ქათამივით. საკუთარი უგუნურებით შენ ხომ შენი გჭირს, მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ, სისხლში რომ გაგვრიე, ჩვენ რა დავაშავეთ, ქართველ კაცს დიდი ხნით რომ დაუკარგე ხალისი გაჭირვებულის შეფარებისა.

**„იქმნა ომი ფიცხელი და პირველსავე შებმასა გაიქცა ბაყათარ, და შევიდა ციხესა, მივიდა ბექა და მოადგა ძლიერად ციხესა და ვითარ განძლიერდა, თხოვეს ოვსთა ზენაარი და აღთქუეს არა წყენა, და ესრეთ მოვიდა ბექას წინაშე გაუშავებელი და უკანას მოკუდა ბაყათარ".**

**(„ქართლის ცხოვრება").**

**ᲜᲘᲜᲝ ᲔᲗᲔᲠᲘᲐ**

**ᲠᲔᲞᲚᲘᲙᲐ**

# რას ელოდებიან?

მართლაცდა თვალსა და ხელშუა გაქრა ჩვენში კომუნისტების დიქტატი და თავად კომპარტია, როგორც პოლიტიკური ძალა. ილეწება და იმსხვრევა საბჭოთა სტრუქტურები და სტერეოტიპები.

იქმნება ახალი, ევროპული ტიპის მართვის ორგანოები — საკრებულოები და სამინისტროები, დეპარტამენტები და მუნიციპალიტეტები... და ეს მოხდა სულ რაღაც ხუთ თვეში.

უკვე პირველსავე სხდომაზე მრავალპარტიული სისტემით არჩეულმა პარლამენტმა ჩვენს რესპუბლიკას სახელი შეუცვალა და „საქართველოს სსრ-ს" ნაცვლად „საქართველოს რესპუბლიკა" უწოდა.

ყველამ გაიხარა, ყველამ ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო ჩვენი საქართველო, აღიარა ეს დიდებული ფაქტი.

ყველამ გარდა კრემლისა, რომელიც კვლავაც „უცილობლობს ვითა ჯორი" და ჯიუტად გაიძახის „საქართველოს სსრ-ს".

ჯიუტობს კრემლი და ჯიუტობენ ისინი, ვისაც ევალება თავად თბილისის შუა გულში, თვით თავისუფლების მოედანზე გამოკრული დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ფირნიშების მოვლა-პატრონობა.

„საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო", „საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი", „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმი", „საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს თბილისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორა" და ა. შ.

ზოგიერთი სამინისტროსა თუ უწყების ახლანდელ ბინადართ ძველის უარსაყოფად მართლაცდა ორიგინალური ხერხისათვის მიუმართავს: სარეკლამო დაფაზე საქართველოს სსრ ამოუჩიჩქნიათ და დანარჩენი ტექსტი უცვლელად დაუტოვებიათ „ს...ქ...ს...რ ფასების სახელმწიფო კომიტეტი", „საქ... ს. რ... სახაგრომრეწვი სამელიორაციო სისტემებისა და წყალსამეურნეო ნაგებობათა ექსპორტის რსგ „საქწყალექსპლოატაცია" და სხვ.

საინტერესოა რას ელოდებიან აღნიშნული ორგანიზაციების, ანდა მათ ბაზაზე შექმნილი ახალი დაწესებულებების თუ უწყებების ხელმძღვანელები?..

**Დ. ᲑᲐᲑᲣᲜᲘᲐ.**







## ᲤᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

# მოვიშოროთ ნიღაბი, თუ ცოდვისაგან განწმენდა გვინდა!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1991 წლის 31 მარტის ნომერში გამოქვეყნებული იყო რამაზ გოგლიძის განცხადება, სადაც იგი მოუწოდებს კომუნისტებს ანალოგიურად მოიქცნენ და აღნიშნავს „ჩვენი ეს გადაწყვეტილება იქნება კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრების თვითგანწმენდაო"...

რამდენად გულწრფელია ყოფილი პარტიული ფუნქციონერის ეს განცხადება, როდესაც იგი თავის ყოფილ თანამდებობების ჩამოთვლისას გამიზნულად მალავს ძის ბოლო პარტიულ თანამდებობას — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგეობას ჯ. პატიაშვილის პირველ მდივნად „მოღვაწეობისას", რომლის ერთ-ერთი მრჩეველი და მისი მაფიის აქტიური წევრი იყო.

ამას ჰქვია თვითგანწმენდა?

ვფიქრობ, ასეთი არაგულწრფელი განცხადებები არ უნდა გამოქვეყნდეს.

**Ნ. ᲐᲮᲐᲜᲘᲫᲔ**
**10 აპრილი, 1991 წ.**

**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ:** **ამჯერად ვბეჭდავთ მკითხველის წერილს, მაგრამ, საზოგადოდ, უფრო მართებულად მიგვაჩნია ზუსტი ადრესატის მონახვა, ამ შემთხვევაში გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა".**

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲐᲑᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ: ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ, ᲛᲣᲮᲠᲐᲜ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ, ᲗᲔᲓᲝ ᲞᲐᲐᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲣᲠᲐᲛ ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲔᲛᲣᲠ ᲥᲝᲠᲘᲫᲔ, ᲜᲝᲓᲐᲠ ᲬᲣᲚᲔᲘᲡᲙᲘᲠᲘ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ № 14, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ 98-31-57

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66421

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲝᲤᲡᲔᲢᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲮᲝᲨᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 29

ᲤᲐᲡᲘ 50 ᲙᲐᲞ.